ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1931 წ. სექტემბერი
პარიზი

№ 16

1931 — SEPTEMBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⁞⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

აგვისტოს მსხვერპლნი

აგვისტოს მსხვერპლნი! მსხვერპლნი დიდი საქმის, უკვდავი იდეალის, საკაცობრიო სულის-კვეთების.

მათ თავი შესწირეს თავისუფლებას; ბრძოლის ველზე დაეცენ გმირებათ, ქართველი ერის მოციქულებათ.

და დაგვიტოვეს დროშა წმინდა, შეურყვნელი, ნებისყოფა და სიმამაცე შეუდრეკელი.

სად გაითხარა მათი საფლავი? სად ასვენია ჩვენი მებრძოლნი? ვინ იცის, მურტალმა ხელმა სადღაც ჩაყარა და დავიწყების ქვა მათ მიაფარა.

მტერი მოსტყუვდა. აგვისტოს მსხვერპლნი განისვენებენ ძმათა საფლავში და ეს საფლავი ჩვენი გულია, გული თბილი, გული მოსიყვარულე, გული მთელი ქართველი ერის. მათი სიცოცხლე დაიწყო მათი სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლე მუდმივი, სამარადისო და წაუშლელი.

მტარვალნი ზიან თფილისში მონურათ, მსხვერპლნი კი ავიდენ გოლგოთაზე მეფურათ.

ისინი ცოცხლობენ, მაგრამ მკვდარს ემსგავსებიან; მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლების წყევლა, ხალხის ყვედრება, სისხლის გუბენი და ზედ წამომჯდარნი მუხანათენი. კვდარი ესენია, კვდარი სამიდღემჩიოთ, მოუნანებლათ, დავიწყებულნი.

ესენი, ჩვენი არწივნი, თავდადებულნი, წარსდგენ ისტორიის წინაშე თავაწეულნი. სახე გაშლილი და გაბრწყინვებულნი. მათი სული ქვეყნის სულია, ობლობას მოკლებულია. საქართველო მათთან არის, მტარვალი გარიყულია.

ისინი ბატონობენ, მამულიშვილთა დევნას განაგრძობენ; ბატონობა მოპოვებული ქვეყნის ცრემლით და ხალხის რბევით. ასეთი ბატონობა განა მრავალჯერ არ განუცდია ქართველ ერს?

ბნელი ძალების თარეში, უცხო ძალაზე დაყრდნობილი, არ ახალია, ძველია. ახალია მხოლოდ ის უტიფრობა, ის სიმდაბლე და დაცემა, რაიცა თან ახლავს დღევანდელ მჩაგვრელთ. «სიცრუე და ორპირობა ხელთ უპირავთ ხმლათ და ფარად». დაშთენილმა ჭუჭყმა დღეს თავი მოიყარა მათში და გასვარა მთელი ქვეყანა. მაგრამ ციური ნაპერწკალი ქართველ ერში მაინც ვერ ჩააქრო. ის ერთ დღეს ალათ ავარდება და მწამებელთ სამაგიერო მიევლინებათ.

ხალხი რკინაა, იმას გადააქვს თავისი ზურგით უდიდესი გასაჭირი. მაგრამ როცა ის ცეცხლში ვარდება, როცა ეს გასაჭირი უზომოთ გაიზრდება, ის ფოლადდება, სიმტკიცე უძლიერდება. აგვისტოში დანთხეული წმინდა სისხლი ჩვენი მალამოა, ქართველი ხალხის სამკურნალოა. საშიშარია არა ფიზიკური დევნა, არა ხორციელი სიკვდილი, არამედ სულიერი დაუძლურება, გონებრივი დაცემა, გულის გატეხილობა. შორიდან შემოპარული მტერი ქართველ ხალხს თავის სიმებზე ვერ აამღერებს, თავის საგალობელს ვერ ათქმიებს. მართალია ამ უცხო ფეხის ხმას აყვენ, მაგრამ აყვენ თითო ოროლანი, მედროვენი, ერის გაჭირებით ხელის მომთბობნი, ღვრია წყალში მებადურენი. ისინი ამით მოწყდენ თავის ხალხს და დაემსგავსენ ღამურებს, რომელთაც აღარც თაგვები ენდობიან და აღარც ჩიტები. ისინი ბნელ ნანგრევებში ბუდობენ, დარცხვენით მოწრიპინენი. ერი რჩება იქ სადაც იყო, თავის პოზიციაზე მტკიცე და გაუტეხელი. მან კარგათ იცის, რომ «ერთობა ჩვენი ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო». არასოდეს ქართველი ერი არ ყოფილა ისე გაერთიანებული, გათვითცნობიერებული და ერთსულოვანი, როგორათაც ის დღეს არის. აგვისტოს დროშა მისი ცემენტია, აგვისტოს მსხაერპლი მისი საწინდარია.

ხალხმა არ იცის დაღალვა. თაობა სცვლის თაობას, დაღალულს დაუღალავი, ძველს ახალი. ასაკთა ამ მიმდევრობაშია ხალხის სიძლიერე, მისი უკვდავება, მისი მუდმივობა. ეს სიმაგრე მტრისაგან აუღებელია; მას შეასკდა აზიის საშინელი ტირანები და მათი ურდოები. და დღეს, მეოცე საუკუნეში, ვის შეუძლია მისი აღება? მოსკოვის დამქაშებს, ჯუღაშვილ-ორჯონიკიძე-მახარაძეებს? მათი ბატონობა წუთიერია, მომავალს მოკლებულია. ხალხმა ჭირში იცის მოთმინება, შეუძლია არც კი იკვნესოს, არც კი იოხვროს, მაგრამ ძალმომრეობას ქედი არ მოუხაროს. აგვისტოში ავარდნილი ალი მასში არ ჩამქრალა; ხალხის გულში დაფარული ნაკვერჩხალი ათბობს მის სულს და აძლევს იმედებს. საქართველოს თამამათ შეუძლია განიმეოროს აკაკის დიდებული სიტყვები:

«კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანნი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასტეხს გმირთა გმირი
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი».

გიორგი ლასხიშვილი

სრულდება ექვსი თვე გიორგი ლასხიშვილის გადაცვალებიდან. პიროვნება მეტათ სპეტაკი, თავდადებული, ღრმა რწმენის და უშიშარი, გიორგი ეკუთვნოდა მოღვაწეთა იმ გუნდს, რომელიც ჩვენში საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეაქციის ხანაში—მეოთხმოცე—მეოთხმოცდაათე წლეებში. ის ჩამოვიდა რუსეთიდან როგორც ნაროდნიკი, კიდევ მეტი, როგორც ნაროდნოვოლეცი. თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი და მის წინააღმდეგ ყოველნაირი ზომის მიმღები. მრავალმა მისმა ამხანაგებმა ჩვენში იარაღი დაყარა თავად-აზნაურული იდეოლოგიის წინაშე, გამოეცალა ბრძოლის ასპარეზს და შეუდგა თავის კერძო ცხოვრების მოწყობას. ერთათ-ერთი გიორგი დარჩა თავის პოსტზე, შერჩა პოლიტიკურ სარბიელს და აქ ლიტერატურით სამსახური გაიხადა თავის ხელობათ. ის არ მიეკედლა გაბატონებულ ბანაკებს, ყოველგან და ყოველთვის თავისი განსაკუთრებითი აზრით გამოდიოდა, მუდამ იდეიურ მომენტით ხელმძღვანელობდა და თავის პოლიტიკურ მრწამს სხვა და სხვა ფორმით და სახით თავის წერილებში ატარებდა. გიორგი თანამშრომლობდა სხვადასხვა გამოცემაში, მაგრამ არც ერთი მისი ნაწერი არ გავდა სხვის ნაწერს, სული პროტესტის, რევოლიუციის, თავისუფლების გამოსჭვივოდა თვითეული მისი სტრიქონისაგან. ამავე დროს ის პირადათ ეკავშირებოდა ყველა თავისუფლებისათვის მებრძოლთ, იქნებოდა ის ქართველი, რუსი, სომეხი თუ სხვა ერის, შედიოდა იმ ხანათ თფილისში არსებულ ამ ინტერნაციონალურ წრეში, როგორც მისი აქტიური წევრი და მეთაური. ის სამართლიანათ ითვლებოდა თფილისის ნაროდნიკული ინტელიგენციის მამათმთავარათ. იმ შავბნელ დროს საჭირო იყო დიდი იდეალიზმი. თავდავიწყებითი გატაცება, რაინდული უშიშრობა და საზოგადო საქმის ღრმა სიყვარული პოლიტიკური ლამპარის ხელში ასაღებათ და საზოგადოების წინაშე მის ასანთებათ. გიორგი ატარებდა ამ ლამპარს, მას უვლიდა, არ აქრობდა და საზოგადოებას აგონებდა დიდ პრობლემას—ძველი რეჟიმის მოსპობას და მის ნანგრევზე პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების დამყარებას. აი ეს აზრი მას ამხნევებდა, ასულდგმულებდა და აახალგაზდავებდა. გიორგი იყო მუდამ ახალგაზდა, ახალგაზდური გატაცებით და იმედებით. გაჭირებაში მტკიცე. საერთო სასოწარკვეთილებაში იმედიანი, საერთო დაღალულობაში მამაცი, უიდეობაში იდეიური, გიორგი მუდამ და ყოველთვის რჩებოდა თავისთავათ, უცვლელი, კლდესავით მაგარი და გაუტეხელი.

როცა საზოგადო სარბიელი გაფართოვდა, შებოჭვილი ცა გაიხსნა, მოძრაობამ ფეხი აიდგა და პოლიტიკური პარტიობა დაიწყო, გიორგი აქაც რჩება თავის სიმაღლეზე, ეძებს თავის ალაგს, ემხრობა იდეოლოგიურათ მონათესავე მიმდინარეობას, აყალიბებს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას. ის აქაც რჩება ბოლომდე წაუბორძიკებელი, თავის პოსტზე მდგომი და მებრძოლი. მისი მტკიცე ხასიათი და ნებისყოფა აქაც ისეთივე მახვილია, როგორათაც მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. განსაკუთრებით სამაგალითოა მისი ქცევა ბოლშევიკური რეაქციის ხანაში. ფიზიკურათ მოტეხილი, თითქმის უსინათლო, სულიერათ რჩება ახალგაზდურათ მძლავრი და შეუპოვარი. ის არ გადმოიხვეწა საზღვარ-გარეთ, დარჩა ადგილზე და შეუდგა თავის გაპნეული ჯარის თავის მოყრას და მის წინამძღოლობას. ის უდგება თავის პარტიის არალეგალურ ორგანიზაციას სათავეში და კვდება ამ პოსტზე, მტრისაგან შეუმჩნეველი. ჩვენ მასში დავკარგეთ საუკეთესო კონსპირატორი. მისი უკანასკნელი ანდერძია მის მიერ ხელმოწერილი გასული წლის პარტიათა შეთანხმება. ერთი ფრონტი, ბრძოლა ბოლომდე, გამარჯვებამდე—აი განსვენებულის უკანასკნელი გამოძახილი, ჩვენდამი, საზღვარ-გარეთ, მომართული. ჩვენ ამ ანდერძს ვასრულებთ, მას ასრულებს მთელი საქართველო.

ნ. ჟ.

ვენის სოციალისტური კონგრესი

ეკზეკუტივის თებერვლის კრებაზე შემუშავებული დღის წესრიგის თანახმათ ვენის კონგრესზე უნდა გარჩეულიყო შემდეგი მთავარი საკითხები: 1) ბრძოლა განიარაღებისათვის. 2) სოციალისტური მოძრაობის საერთო მდგომარეობა და დემოკრატიისათვის ბრძოლა და 3) მსოფლიო ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობა.

კონგრესი გაიხსნა 25 ივლისს და გაგრძელდა პირველ აგვისტომდე. იმ დროს გერმანიაში საშინელი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებდა და კატასტროფას დღიდგან დღეზე მოელოდენ. საჭირო და აუცილებელი იყო ინტერნაციონალს გერმანიის მდგომარეობის შესახებ თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა და გერმანიის დემოკრატიის და სოციალდემოკრატიისათვის ენერგიულათ მხარი დაეჭირა.

კონგრესის გახსნის წინ დღით ეკზეკუტივის ბიურომ დაადგინა, რომ კონგრესის დღისწესრიგის მეორე მუხლი შეცვლილიყო და მას უფრო ვიწრო და განსაზღვრული შინაარსი მისცემოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კამათს აუცილებლათ საერთო და ფართე ხასიათი ექნებოდა. კონგრესი იმსჯელებდა არა მხოლოთ გერმანიაში მოსალოდნელ ფაშისტური დიქტატურის საშიშროების შესახებ, არამედ აგრეთვე ყველა ფაშისტურ ქვეყნებში, თუ საბჭოთა რუსეთში არსებულ დიქტატურის შესახებ. კითხვის სწორედ ასე ფართეთ დასმას და გაშლას ფიქრობდენ ფაშისტური ქვეყნების და საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტურ სექციათა წარმომადგენლები. დაიბადა შიში—ვაი თუ დებატებმა ისეთი ზოგადი და ფართე ხასიათი მიიღოს, რომ გერმანიაში არსებულ კრიტიკულ მდგომარეობას სათანადო ყურადღება ველარ მიექცეს და ინტერნაციონალმა გერმანიის დემოკრატიისადმი თავისი მოვალეობა ვერ შეასრულოსო. ბიურომ დღის წესრიგის შესაფერი მუხლი ასე შესცვალა: მდგომარეობა გერმანიაში და ცენტრალურ ევროპაში და მუშათა კლასის ბრძოლა დემოკრატიისათვის.

კონგრესი, რომელსაც დაესწრო 742 დელეგატი, გაიხსნა ვანდერველდეს სიტყვით; ინტერნაციონალის თავმჯდომარე ფართეთ შეეხო ევროპის დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. დღევანდელი ევროპაო, ამბობდა ის, ორი ნაწილისაგან შესდგება: ერთში დემოკრატია უკვე მძლავრია, მას ფესვები მომაგრებული აქვს; მეორეში კი, საუბედუროთ, მონარქიათა პირადი რეჟიმი დიქტატურის პირად რეჟიმით არის შეცვლილი. ეხლა ჩვენ ვცხოვრობთ არა მხოლოდ პოლიტიკურ რევოლიუციების, არამედ აგრეთვე ტეხნიკის რევოლიუციის ხანაში. წარმოების რაციონალიზაციამ კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი უაღრესათ გაამწვავა. ერთი მხრივ ვხედავთ წარმოების აპარატს, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანთა ყველა მოთხოვნილებანი, მეორე მხრივ კი, საკუთრების ისეთ სისტემას, რომლის შედეგია 20 მილიონი უმუშევარიო. ორატორი შეეხო განსაკუთრებით ამერიკას და რუსეთს: არ არის მართალი, ვითომც რუსეთში დღეს არსებობდეს წონასწორობა წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის. ევროპაში დღეს ზეწარმოების კრიზისია. რუსეთში კი ასეთი ხასიათის კრიზისს არ აქვს ადგილი: იქ წარმოების განვითარება მეტათ დაბალ საფეხურზე სდგას. მაგრამ საბჭოების ეკონომიური ნაციონალიზმი, რაც გამოიხატება მისი ვაჭრობის მონოპოლიის სისტემაში და საბაჟო კედლებში, ვერ დარჩება დამოუკიდებელი სხვა ქვეყნების ეკონომიურ ნაციონალიზმისაგან, კაპიტალიზმისაგან. კაპიტალისტური წარმოების დღევანდელ ანარქიას უთუოთ დიდი გავლენა ექნება რუსეთზედაც. ამიტომ ჩვენ ვერ ვურჩევთ ევროპის პროლეტარიატს, რომელსაც აქვს შეგნება თავისი ადამიანური ღირსების, შეურიგდეს და მიიღოს ის წყობილება, რომელიც გახდის მას «გაუმჯობესებულ» აპარატის კუთვნილებათო.

—

კონგრესებზე საერთოთ უმთავრესი მუშაობა კომისიებში წარმოებს. იქ ირჩევა ყველა საკითხები დეტალურათ, იქ იჩენს თავს ხშირათ ბევრი უთანხმოება, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება საერთო ენის გამონახვა და საერთო დადგენილების მიღება. როცა კომისიაში ამა თუ იმ რეზოლიუციის გამო შეთანხმება ხდება, პლენარული სხდომა კომისიების ტექსტს საზოგადოთ ყოველთვის ადასტურებს.

ასე არ ყოფილა წელს ვენაში. კომისიებში იყო კამათი და დებატები, იქ ვერ შეთანხმდენ და ეს უთანხმოება პლენარულ სხდომებზედაც გადმოდიოდა. განსაკუთრებით მწვავე კამათი სწარმოებდა კომისიებში და პლენუმში განიარაღების და გერმანიის მდგომარეობის საკითხების გამო.

განიარაღების შესახებ კომისიაში და კონგრესის პლენუმზე მოხსენებას აკეთებდა დებრუკერი. ის იცავდა პროფესიონალური კავშირების ინტერნაციონალური ფედერაციის და სოციალისტური ინტერნაციონალის ეკზეკუტივის შეერთებულ კომისიის რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვს შეიარაღების ყოველნაირ კატეგორიათა და ფორმათა საყოველთაო შემცირებას. ეს შემცირება შეეხება სამხედრო სამსახურის დროს, რეზერვების კადრებს, სამხედრო კრედიტებს, სამხედრო გემებს, სიმაგრეებს, ზღვის და ხმელეთის ყოველგვარ შეიარაღებას და ამუნიციას. რეზოლიუცია მოითხოვს ქიმიური საშუალებით ბრძოლის აღკვეთას და საომარ საჰაერო ფლოტის ლიკვიდაციას. უნდა დაწესებულ იქნას სასტიკი საერთაშორისო კონტროლი შეიარაღების ყველა ფორმებზე. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა შექმნილ იქნას განსაკუთრებული მუდმივი საერთაშორისო ორგანო, რომლის მიზანი იქნება საყოველთაო განიარაღების განხორციელება.

დებრუკერის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას კომისიაში სასტიკათ აკრიტიკებდა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წარმომადგენელი—ბროკვეი. ის ამბობდა, რომ შეიარაღების თუ გინდ საყოველთაო შეზღუდვით და შემცირებით ომის საშიშროებას ვერ მოვსპობთო. საჭიროა უფრო ენერგიული ზომები. კონგრესმა უნდა მოითხოვოს ჟენევის მომავალ (1932 წ.) განიარაღების კონფერენციისაგან მთლიანი და უნივერსალური განიარაღება, რის წინადადებას უკვე იძლევა საბჭოთა რუსეთის მიერ წარდგენილი პროექტიო. კონგრესმა უნდა მოუწოდოს ევროპის მუშათა კლასს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალისტურ სახელმწიფოების რუსეთისადმი მტრულ განწყობილებას და დაიცვას საბჭოთა რესპუბლიკა ყოველგვარ ავანტიურისაგანო. ბროკვეიმ ასეთი შინაარსის საკუთარი რეზოლიუცია შემოიტანა და დაურიგა კომისიის ყველა წევრებს. საკვირველია, რომ ბროკვეის რეზოლიუციის შინაარსი პრესაში არსად ყოფილა მოყვანილი.

ბროკვეის უპასუხებს გვარჯალაძე. ის მიუთითებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავათ ლიტვინოვის პროექტებისა, ხუთწლიანი გეგმის შემწეობით ხდება დღეს რუსეთის საყოველთაო შეიარაღება, რომ რუსეთი ეხლა უძლიერესი მილიტარისტული ქვეყანაა. დასავლეთ ევროპის განიარაღებასთან ერთათ უნდა მოხდეს საბჭოთა რუსეთის განიარაღებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის მხრივ ომი უთუოთ მოსალოდნელია. ამიტომ რეზოლიუციაში რუსეთის განიარაღების საკითხი ისევე ნათლათ უნდა იქნას აღნუსხული, როგორც ეს დასავლეთ ევროპის შესახებ არის ნათქვამი.

დებრუკერმა მიგვითითა მისი რეზოლიუციის იმ ადგილზე, სადაც ლაპარაკია ჟენევის მომავალ კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაზე, რომელშიდაც რუსეთის წარმომადგენელიც იღებს მონაწილეობას და, თუ საერთოთ კომისიაში, ან კონფერენციაზე კი მოხდება შეთანხმება, ამ შეთანხმების მუხლების ცხოვრებაში გატარება, რასაკვირველია, რუსეთისათვისაც იქნება სავალდებულოო. მან მიგვითითა აგრეთვე რეზოლიუციის მეხუთე მუხლზე, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ომისათვის მზადება უნდა შეწყდეს მთელ დედამიწის ზურგზე და, ცხადია, ეს რუსეთსაც ეხებაო.

ბროკვეიმ კომისიაში დებრუკერის რეზოლიუციას თავისი რეზოლიუცია დაუპირდაპირა. მან მიიღო მხოლოთ ერთი თავისი ხმა. დებრუკერის რეზოლიუცია კი მიღებულ იქნა ყველას ხმით ბროკვეის წინააღმდეგ.

განიარაღების საკითხის შესახებ კამათი კომისიიდგან კონგრესის პლენარულ სხდომაზე იქნა გადმოტანილი ბროკვეის და კირკვუდის (ინგლისის დამოუკიდებელი პარტიის მეორე წარმომადგენელი) მიერ.

კირკვუდი არ იზიარებდა საერთაშორისო შეთანხმების პრინციპს, რომლის ძალით უნდა მოხდეს საყოველთაო განიარაღება. ის მომხრეა, რომ განიარაღებას ქონდეს ცალმხრივი ხასიათი, რაც იქნებოდა საუკეთესო წამახალისებელი მაგალითი სხვებისთვისო. ინგლისს შეუძლია, მაგალითათ, ეხლავე მოახდინოს თვითგანიარაღება. მუშათა პარტიას აქვს დღეს ძალაუფლება ხელში და მის მთავრობას შეშვენის თვითგანიარაღების მაგალითი სხვებს უჩვენოსო.

ბროკვეი ამბობდა, რომ მას არ აქვს არავითარი ნდობა არც ერთა ლიგის და არც მის მიერ მოწვეულ განიარაღების კონფერენციის. იქ, სადაც დღეს სოციალისტები არიან მთავრობაში, ისინი დაუყოვნებლივ უნდა ახდენდენ განიარაღებას თავიანთ ქვეყანაში. თუ ვინიცობაა ომი ატყდა, ჩვენ უნდა მოვუწოდოთ მუშათა კლასს ხელში ჩაიგდოს ძალა-უფლება კაპიტალისტურ რეჟიმთან საბრძოლველათ. ნაციონალური თავდაცვის და სხვა პარტიებთან კოალიციონური პოლიტიკის წარმოება დაუშვებელია სოციალისტებისათვისო.

დებრუკერის რეზოლიუციის დასაცავათ გამოვიდა ინგლისის ლაბურ პარტიის წარმომადგენელი და ჰენდერსონის, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის, პირადი მდივანი—ბეკერი. უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა მოხდენილ იქნას გავლენა მთავრობებზე, რომ მათ განიარაღების კონფერენციაზე მაქსიმალური დათმობები გააკეთონ. სოციალისტების ამოცანაა დღეს შემუშავებულ იქნას განიარაღების ისეთი პროგრამა, რომლის ცხოვრებაში გატარება შესაძლებელი გახდება. კელოგის პაქტს, ამბობდა ბეკერი, ხელი მოაწერა ბევრმა სახელმწიფომ და ეხლა საჭიროა ერთა ლიგა გამოყენებულ

იქნას განიარაღების პრობლემის გადასაჭრელათო. ბეკერი აცხადებს, რომ ჰენდერსონი იზიარებს დე-ბრუკერის მიერ წამოყენებულ რეზოლიუციის ყველა დებულებებს და მოუწოდებს ინტერნაციონალს ამ რეზოლიუციის სასარგებლოთ ენერგიული პროპაგანდა აწარმოვოს. დაბოლოს ბეკერი ზავის და მშვიდობიანობის მტრებათ სთვლის მათ, ვინც ცდილობს განიარაღების მომავალ კონფერენციას აქედანვე სახელი გაუტეხოს.

ფრიად მჭერმეტყველურ და შინაარსიან სიტყვას ამბობს **რენოდელი**. ინტერნაციონალურ კონგრესებზე დღეს თავს იყრიან არა ოპოზიციაში მყოფი პარტიები, როგორც ეს ომის წინეთ იყო, არამედ პარტიები, რომლებიც ან უკვე შედიან მთავრობებში, ან და მოელიან ძალაუფლების ახლო მომავალში ხელში ჩაგდებას. ამიტომ ჩვენ კონგრესს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს სიტყვიერი თუ თეორიული რეზოლიუციებით, როცა ჩვენ რეზოლიუციებს ვიღებთ, ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ მათ ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობაზეო. განიარაღების პრობლემა რენოდელისათვის დღეს უაღრესათ პოლიტიკური პრობლემა არის. რამდენათ სოციალისტური პარტიები ძლიერი და მრავალრიცხოვანი იქნებიან პარლამენტებში, იმდენათ მეტი იქნება მათი გავლენა მთავრობებზე, იმდენათ მეტი შესაძლებლობა იქნება თვით ერთა ლიგა გაიმსჭვალოს დემოკრატიული და სოციალისტური იდეებით და მით განიარაღების საკითხიც რეალურ ნიადაგზე დადგეს. მართალია, დღეს ერთა ლიგა სუსტია, მაგრამ ეს იმის შედეგია, რომ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში—დიქტატორული რეჟიმია გამეფებული და ყველგან იქ დემოკრატიული და სოციალისტური იდეები დახშულია. ამ ქვეყნების მთავრობებზე და ერთა ლიგაში მათ წარმომადგენლებზე დემოკრატია ვერ ახდენს სათანადო გავლენას. მაგრამ ერთა ლიგა თუ დღეს სუსტია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ყოველთვის ასე იქნება. სოციალისტური დემოკრატია იზრდება და მაგრდება ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. ევროპის დემოკრატიის გაძლიერებას თან მოყვება ერთა ლიგის დემოკრატიზაციაც. ერთა ლიგა ბურჟუაზიული დაწესებულებაო, გაიძახიან ბოლშევიკები, დიახ, და სწორეთ ამიტომ არის საჭირო, რომ იქ დემოკრატიის და სოციალიზმის სული შევიტანოთ. ჩვენ იმედს ვამყარებთ არა იმდენათ დღევანდელ ერთა ლიგაზე, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალში მას დიდი საქმის გაკეთება შეეძლებაო. **რენოდელი** აღნიშნავს, რომ ამერიკა დღეს არ შემოდის ერთა ლიგაში და საჭიროთ სთვლის გაწეულ იქნას ამ ქვეყანაში შესაფერი აქტიური პროპაგანდა მის ამ საერთაშორისო ორგანოში შემოსაყვანათ.

საბჭოთა რუსეთიო, ამბობდა რენოდელი, ხშირათ აგზავნის თავის წარმომადგენლებს ჟენევაში ეკონომიურ ხელშეკრულობათა დასადებათ და ამ წარმომადგენლებს არა ერთხელ განუცხადებიათ იქ, რომ კაპიტალისტურ რეჟიმს შეუძლია იარსებოს საბჭოთა რეჟიმის გვერდით. როცა საბჭოთა რუსეთი ესწრება განიარაღების კომისიებს თუ კონფერენციებს და ცდილობს იქ თავის რეზოლიუციების გატარებას, ჩვენ გვაქვს სრული უფლება უთხრათ მას: თუ შენი წინადადებები იქნა მიღებული ამა თუ იმ სახით, შენ ვალდებული ხარ იყო ერთა ლიგაში და დაემორჩილო მის დადგენილებებს და კონტროლს.

«გერმანიაში და ცენტრალურ ევროპაში მდგომარეობის და მუშათა კლასის დემოკრატიისათვის ბრძოლის» შესახებ მოხსენებას კონგრესზე პოლიტიკური კომისიის სახელით **ბაუერი** აკეთებს. ბაუერის აზრით კაპიტალიზმის სტაბილიზაცია, რომელზედაც ლაპარაკი იყო ბრიუსელის კონგრესის დროს, დღეს აღარ არსებობს. უკვე 1929 წლიდგან მოკიდებული მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდიან როგორც სამრეწველო, ისე აგრარულ ქვეყნებში. გერმანიაში ეკონომიურ კრიზისს ზედ ერთვის კრედიტის კრიზისიც. გერმანია უცხოეთის დაუხმარებლათ ვერ შეძლებს ამ კრიზისს თავი დაახწიოს. გერმანელი ფაშისტები კი ცდილობენ ეს უბედურება თავის სასარგებლოთ გამოიყენონ და ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ. გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვება და დემოკრატიის დამარცხება იქნებოდა უდიდესი საშიშროება, როგორც ცენტრალური ევროპის, ისე მთელი ევროპის დემოკრატიისათვის: ევროპის ხალხთა შორის მორიგება, საყოველთაო განიარაღების და ევროპაში ზავის საკითხები უთუოთ მეტათ არა სასურველ მიმდინარეობას მიიღებდა. ევროპაში აუცილებლივ შეიქნებოდა ისეთი მდგომარეობა, რაც დაბოლოს ომამდე მიგვიყვანდაო.

ბაუერი ანალიზს უკეთებს მის მიერ წარდგენილ რეზოლიუციას. რეზოლიუციის პირველ მუხლში ჩვენ მოვითხოვთ გერმანიისადმი დაუყონებლივ ინტერნაციონალურ ფინანსიურ დახმარებასო. ამ დახმარებას ვითხოვთ არა გერმანიის კაპიტალიზმის სახსნელათ, არამედ ცენტრალური ევროპის მუშათა კლასის და დემოკრატიისათვის დასახმარებლათო. თავის თავათ ცხადია, რომ ეს ინტერნაციონალური ფინანსიური დახმარება უნდა მოხდეს ყოველივე პოლიტიკური პირობების გარეშე. მაგრამ ცხადია ისიც, რომ გერმანიის მთავრობამ მაქსიმალური უზრუნველყოფა უნდა მოგვცეს იმ მხრივ, რომ ნასესხები ფულებით არ ისარგებლებს ჰიტლერ-ჰუგენბერგის მთავრობა, არამედ ეს ფული გამოყენებულ იქნება ზავის და დემოკრატიის პოლიტიკის სასარგებლოთ.

ბაუერი მიმართავდა გერმანიის მუშათა კლასს და მოაგონებდა მას მის წარსულ ბრძოლებს და გამარჯვებებს: ბისმარკის განსაკუთრებული კანონების მოსპობას, ჰოჰენცოლერნების იმპერიის დანგრევას და რესპუბლიკის დაარსებას, კაპის გადატრიალების თავიდგან აცილებას საყოველთაო გაფიცვის საშუალებით და სხვა. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ გერმანიის მუშათა კლასი არ აყვება იმ ბრმა ავანტიურისტების დემაგოგიას, რომელნიც პროლეტარული რევოლიუციის სახელით ფაშისტურ კონტრრევოლიუციასთან ერთათ გამოდიან პრუსიაში რეფერენდუმის კამპანიაშიო. გერმანიის პროლეტარიატის ხელმძღვანელი იყო და კვლავ დარჩება გერმანიის სოციალდემოკრატიაო.

ბაუერი არ ეთანხმება ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წარმომადგენლებს, რომელნიც მოითხოვენ ყველგან და ყოველ პირობებში აკრძალულ იქნას კოალიციის პოლიტიკა. ბაუერი თანახმაა, რომ კოალიციის პოლიტიკა უმუშევრობის და კრიზისის ხანაში დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რომ ადვილი შესაძლებელია იმედ გაცრუებულ მუშათა კლასს სოციალისტურ პარტიის და დემოკრატიული მეთოდების ნდობა დაეკარგოს. მაგრამ კონგრესი ჩაიდენდა უდიდეს შეცთომას, რომ დღევანდელ კრიტიკულ მომენტში გერმანიის სოციალდემოკრატიისათვის მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა. ყოველნაირი ღონისძიება უნდა იქნას მიღებული გერმანიაში სახელმწიფო ძალის სანეიტრალიზაციოთ, რომ ის ფაშიზმს ხელში არ ჩაუვარდესო.

ფაშიზმი და კომუნიზმი სარგებლობენ დღევანდელი მდგომარეობით, აწარმოებენ დემაგოგიას და არწმუნებენ ყველას, რომ ხსნა მხოლოდ ხელშეკრულებების ძალით დარღვევამ შეიძლება მოგვიტანოსო. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ხელშეკრულებები უსამართლოებას ემყარებიან, რომ ეს უსამართლობა გამოსწორებულ უნდა იქნეს. მაგრამ ზავი და ახალი ომის თავიდგან აცილების საქმე ამ უსამართლობის გამოსწორებაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. ჩვენ ვეუბნებით გერმანიის მუშებს, რომ წინააღმდეგი ვართ ხელშეკრულებათა ძალით გადასინჯვის, მაგრამ ამავე დროს ვაძლევთ მათ სიტყვას და ვიღებთ ჩვენ თავზე ვალდებულებას, რომ ხელშეკრულებანი მშვიდობიანის გზით იქნება გადასინჯული და შესწორებულიო.

სოციალისტური ინტერნაციონალი, ამბობდა ბაუერი, მთელი თავისი ძალღონით ცდილობს უზრუნველყოს მუშათა კლასის ბრძოლა დემოკრატიულ ნიადაგზე და დემოკრატიულ მეთოდებით. მაგრამ თუ გაბატონებული კლასები მიუხედავათ სოციალისტური პარტიების ყოველნაირ ცდისა, მაინც დაუშვებენ ცენტრალური ევროპის წარმოების და დემოკრატიის განადგურებას და ასეთი კატასტროფის შედეგათ ფაშიზმის ძალადობას გაამეფებენ, მუშათა კლასს აღარ დარჩება სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ ფაშიზმს დაუპირდაპიროს ბრძოლის ყველა საშუალებები. ორში ერთი: ან დაუყონებლივი საერთაშორისო დახმარება გერმანიის სახალხო მეურნეობას, დემოკრატიის და ზავის სახსნელათ, ანდა კატასტროფა და სამოქალაქო ომიო.

მაგრამ თუ ინტერნაციონალის ხმა არ იქნა გაგონილი, მაშინ ბაუერის აზრით ცენტრალურ ევროპაში მოსალოდნელია კატასტროფა, რითაც შეიძლება დაიწყოს სოციალიზმის ახალი ხანა და სოციალიზმი დადგეს ახალ და ჯერ გაუგონარ ამოცანების წინაშე. წარმოსადგენია სოციალიზმისაკენ მიმავალი სხვადასხვა გზები. წარმოსადგენია ძალადობის, დიქტატურის და ტერორის გზა, რომელსაც დღეს რუსეთის კომუნიზმი მიყვება. ჩვენ არ უარვყოფთ—ამას გვიმტკიცებს რუსეთის მაგალითი—რომ ამ გზით შესაძლებელია წარმოების საშუალებანი ხელიდგან გამოვტაცოთ კაპიტალისტებს, მოვსპოთ შეძლებულ და გაბატონებულ კლასთა საკუთრების მონოპოლია და შევეცადოთ კაპიტალისტური ანარქია შევცვალოთ გეგმიანი საზოგადოებრივი წარმოებით. ჩვენ ვიცით რუსეთის მაგალითით, რომ ამ გზით სიარული იქნება ათეული წლების განმავლობაში საშინელი გასაჭირი და სიღარიბე, ხელის აღება პირად და სულიერ თავისუფლებაზე. ვიცით აგრეთვე, რომ ყველა ამ მსხვერპლის შედეგათ ჩვენ მივიღებთ მხოლოდ დიქტატურას და სახელმწიფო კაპიტალიზმს, რომლის დემოკრატიულათ გარდაქმნა შესაძლებელია დიდი ხნის შემდეგ და ბრძოლის საშუალებით; მხოლოდ ამ გზით შეიძლება მშრომელ ხალხის ორგანოთ გადავაქციოთ ის მთავრობა, რომელსაც ხელთ უპყრია წარმოების საშუალებანი და ხალხზე ბატონობა.

ძალადობის, დიქტატურის და ტერორის გზა არ არის ჩვენი გზა, აცხადებს ბაუერი. ჩვენ მუდამ გვსუროდა და დღესაც გვსურს სოციალიზმისაკენ ვიაროთ სხვა საწინააღმდეგო გზით. გვინდა პირადი და სულიერი თავისუფლების ის გარანტიები, რომლისათვისაც მსხვერპლათ მიტანილა კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელნი. ჩვენ უარს არ ვამბობთ დემოკრატიაზე. წინააღმდეგ, ჩვენ გვსურს დემოკრატიის ნიადაგზე და საშუალებით დავამყაროთ სოციალიზმი. და თუ ბოლშევიკებს და ჩვენს შორის არის ეს პრინციპიალური განსხვავება, ჩვენ არ შეგვიძლია ამავე დროს არ ვგრძნობდეთ, რომ დემოკრატიული გზით სიარული დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე.

თუ დემოკრატია იქნება გათელილი ფაშიზმის მიერ, თუ მუშათა კლასს წაერთმევა საშუალება დემოკრატიული მეთოდებით იბრძოლოს, ის მაშინ იძულებული იქნება მიმართოს სხვა გზებს და საშუალებებს. ის შეეცდება ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება კაპიტალიზმის მოსასპობათ და სოციალისტური წყობილების დასამყარებლათო.

ბაუერის შემდეგ ლაპარაკობენ **ლეონ ბლიუმი** და **ბრაიტშაიდი**, რომელნიც სავსებით იზიარებენ ბაუერის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას.

ინგლისელ დამოუკიდებელ პარტიის წარმომადგენელნი კომისიაში ამბობდენ, რომ ინტერნაციონალის საქმე არ იყო, თუ ვინ და როგორ დაეხმარებოდა გერმანიის მთავრობას. ეს ფინანსიური კაპიტალის საქმეა და მისმა წარმომადგენლებმა როგორც უნდა ისე დაეხმარონ კაპიტალისტური ინტერესების გამომხატველ ბრიუნინგის მთავრობასო. **ბლიუმი** მათ უპასუხებდა, რომ საქმე ეხებოდა არა გერმანიის კაპიტალიზმის დახმარებას, არამედ გერმანიის მუშათა კლასს და მის ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩვენ დღეს უნდა შევეცადოთ გერმანიაში შეიქნას ისეთი პირობები, რომელშიდაც გერმანიის დემოკრატიას გაუადვილდება ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. გერმანიის დემოკრატიისათვის დახმარებით ჩვენ ვიბრძვით საერთაშორისო ზავისათვისაც, რადგანაც ევროპაში ზავი დღეს წარმოუდგენელია, თუ გერმანიაში დემოკრატია დამარცხებული იქნებაო. **ბრაიტშაიდი** ანალიზს უკეთებდა გერმანიის მდგომარეობას და იცავდა გერმანიის სოციალდემოკრატიის ტაქტიკას ამ გარდამავალ ხანაში. **ბლიუმი** და **ბრაიტშაიდი** ეთანხმებოდენ ბაუერს იმაში, რომ სოციალიზმი არ მიისწრაფვის ძალით გადატრიალებისაკენ. მისი გზა დემოკრატიის გზაა, მაგრამ შეიძლება ის იძულებული შეიქნას მიმართოს ძალადობას, თუ მართველი კლასები მოინდომებენ დემოკრატიის მოსპობას.

ინგლისელ დამოუკიდებლების წარმომადგენელი—**მაქსტონი** ამბობს, რომ «მდგომარეობის ხსნა შეუძლებელია კაპიტალისტური მეთოდებით». გერმანიის სოციალდემოკრატიამ დაუშვა უდიდესი შეცდომა, როცა მან ბრიუნინგის მთავრობას მხარი დაუჭირა. ასეთი ტაქტიკით მან უთუოთ დიდათ შეუწყო ხელი ფაშიზმის გაძლიერებას გერმანიაშიო. მაქსტონის ასეთმა განცხადებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გერმანიის დელეგაციაში. **ერლიხი**—ბუნდის წარმომადგენელი, რომელიც კომისიებში და პლენარულ სხდომებზე შეთანხმებულათ გამოდიოდა ინგლისელ დამოუკიდებლებთან ერთათ, ამტკიცებდა, რომ გერმანიის ერთათ ერთი ხსნა იმაშია, რომ იქ მუშათა კლასი შეეცადოს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და სოციალისტური რეჟიმის დამყარებასო.

ინგლისელ მაქსტონს გაცხარებით უპასუხებდა იტალიელების წარმომადგენელი—**ნენნი**, რომელმაც განაცხადა, რომ იტალიის სოციალისტებმა დაუშვეს უდიდესი შეცდომა, როცა მათ უარი სთქვეს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან კოალიციაზე რითაც მუსოლინს გზა გაუხსნეს ძალაუფლებისაკენო.

მაქსტონს და ერლიხს უპასუხებდენ აგრეთვე **ველსი** და **ბაუერი**.

ბაუერის რეზოლიუცია მიღებულ იქნა 316 ხმით წინააღმდეგ 5-ისა (ინგლისელი დამოუკიდებლები, პოლონელი დამოუკიდებლები და ბუნდი).

ეკონომიური კრიზისის და უმუშევრობის შესახებ მოხსენებას აკეთებს შვეიცარელი **გრიმი**. გრიმის რეზოლიუცია მიღებულ იქნა 299 ხმით ინგლისელ დამოუკიდებლების რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელმაც 5 ხმა მიიღო.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ მოხსენებით გამოდის **ადლერი**. ის ეკამათება ინგლისელ დამოუკიდებლებს, რომლებიც მოითხოვენ დაარსდეს ერთი ინტერნაციონალი, სადაც გაერთიანებული იქნება ყველა ქვეყნების მუშათა კლასი. მესამე და მეორე ინტერნაციონალის გაერთიანების საკითხი დამოუკიდებლებს არაერთხელ დაუყენებიათ. დღეს ისეთი ახალი არაფერი მომხდარა, რომ ეს საკითხი ხელახლათ იქნას განხილულიო, ამბობს ადლერი. დამოუკიდებლების რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 297 ხმით 3 წინააღმდეგ, 2-მა თავი შეიკავა.

კონგრესზე ჩვენი პარტიის დელეგატათ იყო ამხ. კ. გვარჯალაძე.

ქვევით მოგვყავს ვენაში მიღებული მთავარი რეზოლიუციები.

ბ. გ.

ბრძოლა განიარაღებისათვის და ომის საშიშროებათა წინააღმდეგ.

საერთაშორისო პროფესიონალური ფედერაცია და **მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი** ერთხელ კიდევ მოაგონებენ, რომ პროლეტარიატის ყველა მატერიალური და მორალური ძალები ამუშავებულია ზავის სასარგებლოთ.

ომის მასაზრდოებელ კაპიტალიზმთან ბრძოლით, ახალი, კლასთა წინააღმდეგობათაგან განთავისუფლებული საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის მუშაობით, პროლეტარიატი ამზადებს სრულ, საბოლოო ზავის დამკვიდრებას. მუშათა მოძრაობა, ამასთანავე, შეუჩერებლივ ესწრაფვის განავითაროს ჩანასახი ზავისა, რომელიც უკვე თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებაში მოიპოება. ის მუდამ ცდილობდა ხელი შეეწყო ხალხთა შორის ეკონომიურ და პოლიტიკურ კოოპერაციის ყველა ფორმებისათვის. ის შეუჩერებლივ იბრძოდა და იბრძოლებს მომავალში არბიტრაჟის, საერთაშორისო სამართლიანობის და უთანხმოებათა მშვიდობიანათ გადაჭრის ყოველგვარ ფორმების განვითარებისათვის. მაგრამ საერთაშორისო პროფეს. ფედერაცია და მუშათა სოც. ინტერნაციონალი ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ ამ მშვიდობიანობის სისტემის არსების, მიუცილებელ ელემენტს შეადგენს განიარაღება, რომ უმისოდ ყველა დანარჩენი ზომა ფუჭი იქნებოდა. დადგა ჟამი მოვაგონოთ ეს ჭეშმარიტება მთავრობათ, რომელთაც ის თითქოს დაივიწყეს.

განიარაღების განხორციელება აღუთქვეს ხალხებს მრავალჯერ, სრულიად კატეგორიულათ და საჯაროთ.

კელოგის პაქტი გარკვევით გულისხმობს განიარაღებას, თუ ამ პაქტში უნდა დავინახოთ სხვა რამე ვინემ უძლურ სურვილის ფუჭი გამოსახულება. ერთა ლიგის პაქტის მერვე მუხლი შეიცავს გარკვეულ ვალდებულებას შეიარაღებათა შემცირებისას. თუ საზავო ხელშეკრულებები მოითხოვენ დამარცხებულ ქვეყანათა განიარაღებას, ეს, მათივე ტექსტის თანახმათ, უნდა მომხდარიყო «ყველა ერთა შეიარაღებათა საერთო შემცირების» მოსამზადებლათ. ათი წლის განმავლობაში, ერთა ლიგამ, «შერეულმა კომისიამ», «მოსამზადებელმა კომისიამ», ურიცხვ კომიტეტებმა დააგროვეს შესაფერი მასალა. მაგრამ ქვეყანას კარგა ხნის ლოდინი არგუნეს წილად. საჭიროა იცოდენ მთავრობებმა რომ ამ დაუსრულებელმა ხელახალ გადადებამ ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. განიარაღების კონფერენცია ეხლახან მოწვეულია. ნუღა გააცრუებენ ერთხელ კიდევ ამ მოწვევით გაღვიძებულ იმედებს! თუ განიარაღების საქმე კიდევ გადადებულ იქნა, თუ კონფერენციამ არ მოიტანა კონკრეტიული და მნიშვნელოვანი შედეგები, აუცილებელი იქნება გაკოტრების აღიარება. მუშათა მოძრაობას მოუხდება აქედან საჭირო დასკვნის გაკეთება და ამისდა მიხედვით თავისი მოქმედების მიმართვა.

საერთ. პროფ. ფედერაცია და მუშ. სოც. ინტერნაციონალი აცხადებენ:

1. განიარაღების სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მკვიდრად და საბოლოოდ აგებული, თუ მას საფუძვლად ექნება უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა. არაფერი არ ავნებს ისე ზავის საქმეს, როგორც ცდა გამარჯვებულ და დამარცხებულ ხალხთა დაუსრულებლივ განსხვავებულ რეჟიმისათვის დაქვემდებარებისა. საერთაშორისო პროფ. ფედერაცია და მუშ. სოც. ინტერნაციონალი მოითხოვენ, რომ უკვე 1932 წ. კონფერენციაზე გადადგმულ იქნას გადამჭრელი ნაბიჯი გათანასწორებისაკენ.

2. ფიქრიც მეტია იმაზე, რომ ეს გათანასწორება განხორციელებულ იქნას საზავო ხელშეკრულებათა ძალით განიარაღებულ ქვეყანათა ხელახალ შეიარაღებით. განიარაღების შეთანხმება არ შეიძლება გახდეს საბაბი რაიმე დარგის შეიარაღების გაძლიერებისა. ის არ შეიძლება აგრეთვე დასრულდეს «სტაბილიზაციით, რასაც მუშათა საზოგ[illegible]ძვირი მიიღებდა ნამდვილ გამოწვევათ. [illegible] ფედერაცია და მუშ. სოც. ინტ-ი მოითხოვენ, პირიქით, მნიშვნელოვანს, დაუყონებლივს და საერთო შემცირებას.

3. შემცირების საგანი უნდა იყოს შეიარაღების ყველა დარგები. ის უნდა შეეხოს მშვიდობიანობის დროის კადრებს, სამსახურის ვადას და სამობილიზაციო რეზერვებს; სამხედრო ხარჯების ყველა კატეგორიებს; გემებს, ფორტიფიკაციებს, იარაღს და სამხედრო მასალას როგორც ხმელეთის ისე საზღვაო ძალებისათვის.

ქიმიური და ბაქტერეოლოგიური მასალის აკრძალვა უნდა იქნას დადასტურებული და ცხოვრებაში გატარებული.

ეხლავ აღკვეთილ უნდა იქნას საჰაერო ნაციონალური ძალები, როგორც ეროვნულ თავდაცვის ელემენტი; მათი ხმარება დაშვებულ იქნება საგანგებო კონვენციით, რაიცა მიღებულ იქნება კონფერენციის დასასრულს.

დაწესებული იქნება მეტად სასტიკი კონტროლი სამოქალაქო ავიაციის მშენებლობაზე (სავაჭრო და სატურისტო ავიაცია); საჰაერო ნავიგაციის ხაზები გადაქცეულ უნდა იქნან საერთაშორისო ხაზებათ.

4. რომ უზრუნველყოფილ იქნას პატივისცემა იმ საერთო კონვენციისადმი, რომელიც დაიდება კონფერენციაზე, აუცილებელია მოეწყოს, გარეშე შინაურ კონტროლისა სხვადასხვა ქვეყნებში, რის განხორციელებას მხოლოდ დემოკრატია გახდის შესაძლებლად, სასტიკი საერთაშორისო კონტროლი ხარჯებზე, შეიარაღებაზე, საჯარო და კერძო სამხედრო წარმოებებზე და იარაღის საერთაშორისო ვაჭრობაზე.

ამ საგანზე საჭიროა რომ კონვენციამ აუკრძალოს სახელმწიფოებს თვით კონვენციის დარღვევის მხილების დანაშაულათ აღიარება.

5. ამ პირველი ზომების განხორციელების შემდეგ, განიარაღების საქმე გაგრძელებულ უნდა იქნას მის დაბოლოვებამდე, ე. ი. სანამ ომისათვის მზადება არ შეწყდება მთელ დედამიწის ზურგზე.

ამ მიზნით საჭირო იქნება დაარსება განიარაღების მუდმივ საერთაშორისო ორგანოსი სათანადო კონფერენციებით, რომლებიც შეიკრიბებიან რეგულიარულათ და ხშირად და თვითეულ ყრილობაზე შეიმუშავებენ მომავალი პერიოდისთვის ცხოვრებაში გასატარებელ ახალ ღონისძიებებს განიარაღებისათვის.

მდგომარეობა გერმანიასა და ცენტრალურ ევროპაში და ბრძოლა დემოკრატიისათვის.

I.

მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია კრედიტის შერყევით ცენტრალურ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში.

თუ კრედიტის ეხლანდელი კრიზისი გერმანიაში ძლეულ არ იქნა საერთაშორისო სოლიდარობით ნაკარნახევ სწრაფ და გულუხვ ღონისძიებით, ის აუცილებლივ გამოიწვევს უმუშევრობის ვეებერთელა ზრდას, მუშათა ხელფასის საშინელ დაქვეითებას, ხალხის მასების უზომო გაღატაკებას.

კრიზისის ასეთი გამწვავება ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ქვეყანაში გარდაუვალ შედეგათ მოიტანდა უმუშევრობის დამღუპველ ზრდას და ხელფასის ჩქარის ნაბიჯით დაცემას მთელს მსოფლიოში.

ამავე დროს, ეკონომიური კატასტროფა გერმანიაში დიდათ გააძლიერებდა გერმანიის დემოკრატიის პოლიტიკურ დაქცევის საშიშროებას. ნაციონალისტური დიქტატურის გამარჯვება გერმანიაში შეიქნებოდა უდიდესი საფრთხე დემოკრატიისათვის, აგრეთვე რეინის დასავლეთით მდებარე ყველა ევროპიულ ქვეყნებისათვის. ეს იქნებოდა უდიდესი საშიშროება ევროპიულ ზავისათვის და მოსპობდა ყოველივე იმედს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის წარმატებით დამთავრებისას. ის მიმართავდა ევროპას ახალი ომისაკენ.

ამ საშინელი საფრთხის წინაშე, საჭიროა ყოველივე საშვალების ამუშავება, რათა აცილებულ იქნას გერმანიის ეკონომიური დანგრევა და გერმანიის დემოკრატიის დაქცევა.

1. დღევანდელი მდგომარეობა მოწმობს თუ რამდენად თვითეულ ხალხის კეთილდღეობა და წარმატება დამოკიდებულია კაცობრიობის კეთილდღეობის და წარმატებისაგან და ცხადჰყოფს სასწრაფო საჭიროებას საერთაშორისო კოლექტიურ მოქმედებისა, რათა ბოლო მოეღოს იმ გაჭირვება-სიღატაკეს, რასაც ყველა ქვეყნის მუშებს აყენებს მსოფლიო ეკონომიური კრიზისი.

გერმანიის სახალხო მეურნეობის დაქცევის ასაცილებლათ გატარებულ უნდა იქნას ფართო მასშტაბით საერთაშორისო ფინანსიური ღონისძიება. ეს ფინანსიური დახმარება უნდა გაეწიოს გერმანიას დაუყონებლივ და საკმარისი რაოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიზანს ვერ მიაღწევს.

საერთაშორისო კრედიტები არ უნდა იყოს დაკავშირებული პოლიტიკურ პირობებთან ან ისეთ პირობებთან, რომლებსაც მიზნათ ექნება გერმანიის პოლიტიკური სუვერენიტეტის შეზღუდვა. ყოველივე ცდა გერმანიის გაჭირვების პოლიტიკურ ზეგავლენისთვის გამოყენებისა შედეგათ მოიტანდა მხოლოდ ნაციონალიზმის გაძლიერებას გერმანიაში და ამგვარათ გაწეულ დახმარებას ყოველივე ფასს დაუკარგავდა.

სამაგიეროთ, აუცილებლივ საჭირო საერთაშორისო დახმარების გაწევა გაადვილდებოდა, რომ გერმანიის მთავრობა შესძლებდეს, საკუთარი ინიციატივით და დამშვიდების მიზნით, მისცეს დემოკრატიულ ერებს იმის გარანტია, რომ მათ მიერ გერმანიის განკარგულებაში მიცემული თანხები მოხმარდება არა ნაციონალიზმის და დიქტატურის, არამედ ზავის და დემოკრატიის პოლიტიკას.

2. საერთაშორისო ფინანსიურ დახმარებას, რომელიც დაუყონებლივ უნდა იქნას აღმოჩენილი, თან უნდა მოჰყვეს, რაც შეიძლება საჩქაროდ, რეპარაციების და ომის ვალების რეჟიმის გადასინჯვა. ეხლანდელი რეჟიმი, უკვე თავისთავად მეტად მძიმე ოქროს სყიდვითი ძალის ზრდის გამო, სრულიად აუტანელი გახდა გერმანიის ეკონომიური კატასტროფის შემდეგ. უკვე 1922 წელს ინტერნაციონალმა წა-

მოაყენა ფრანკფურტში შემდეგი მოთხოვნილება: ყველა სამხედრო ვალების გაუქმება და რეპარაციების განსაზღვრა მხოლოდ იმ თანხით, რაიცა საჭიროა კერძო მოქალაქეების მიერ საომარ ზონებში გაწეულ ნივთიერ ზარალის ასანაზღაურებლათ.

სამხედრო ვალების სავსებით გაუქმება დღეს კიდევ უფრო მეტ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ვინემ ოდესმე. ის საგრძნობლათ და საბოლოოთ შეამცირებდა გერმანიაზე დაკისრებულ ვალდებულებათ.

3. ბრძოლა სამხედრო ვალების და რეპარაციების გადასინჯვისათვის კვლავ მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული საერთაშორისო განიარაღებისათვის ბრძოლასთან, რომელიც ერთი მხრით, გაადვილებდა რეპარაციების პრობლემის გადჭრას—სხვადასხვა ქვეყნის ბიუჯეტის განტვირთვით, და, მეორე მხრით, ხელს შეუწყობდა შეერთებულ შტატების მომხრობას სამხედრო ვალების გაუქმებისათვის.

4. ამნაირად, კონგრესი მთელი თავისი ენერგიით კიცხავს ნაციონალისტურ და ფაშისტურ პარტიების საშიშარ პროპაგანდას სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც ესწრაფვის გაალვივოს ხალხში მტრული გრძნობები მეზობელ ერების წინააღმდეგ. ასევე ენერგიულათ კიცხავს ის მათ, ვინც სთესს მითქმა-მოთქმას კონფლიქტებისა და ომის შესახებ; მისი ღრმა რწმენით ამას სჩადიან იარაღის წარმოების კარტელთა უნამუსო აგენტები. კონგრესი მიმართავს მთავრობებს რომ ევროპის აღდგენა თანამედროვე მომენტის ყველაზე უფრო სასწრაფო ამოცანას შეადგენს. ის მოუწოდებს მათ ამ საქმეს მოახმარონ მთელი თავისი ძალ-ღონე.

სხვათა შორის, კონგრესი მოუწოდებს მთავრობებს შეიმუშავონ დაუყონებლივ საერთაშორისო ეკონომიური სააღმშენებლო პროგრამა, გერმანიისათვის სასწრაფო დახმარების გაწევის და მსოფლიო კრიზისის შედეგების შენელების მიზნით.

II.

რაც მიუცილებელი არ უნდა იყოს საერთაშორისო დახმარება გერმანიისითვის, მაინც თვით გერმანიის მუშათა კლასს ხვდება მთავარი როლი გერმანიის დემოკრატიის დაცვის საქმეში. კონგრესი სრულს ნდობას უცხადებს გერმანიის მუშებს, დარწმუნებული, რომ ისინი დაამარცხებენ გერმანულ ფაშიზმს. ამით ისინი საკუთარ თავისუფლებასთან ერთად გადაარჩენენ მთელ ცენტრალურ ევროპის თავისუფლებას და მსოფლიო მშვიდობიანობას.

ამ ბრძოლაში, მთელი ქვეყნის სოციალისტი მუშები გვერდში ამოუდგებიან გერმანიის მუშათა კლასს და დაეხმარებიან მას მათ განკარგულებაში მყოფ ყველა საშვალებებით.

ცენტრალურ ევროპის ახალგაზდა დემოკრატიებს მხოლოდ მუშათა კლასის ძალების წყალობით შეუძლიათ თავის დაცვა და არსებობის შენარჩუნება. მაგრამ დემოკრატია მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს გაალვივოს მუშათა კლასის მთელი ენტუზიაზმი და აამოძრავოს ყველა მისი ძალები, თუ მას შესწევს უნარი თავის მომქმედ კონტროლის ქვეშ დააყენოს ქვეყნის მეურნეობა და დაუმტკიცოს მუშათა მასებს, რომ ის სოციალურ გარდაქმნის იარაღია. ამიტომაც დემოკრატიის დაცვა მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული სოციალიზმისათვის ბრძოლასთან.

ფაშისტები და კომუნისტები ურჩევენ დამარცხებულ ხალხებს საზავო ხელშეკრულებათა ძალადობის საშვალებით დახევას. მაგრამ ყოველივე ცდა ხელშეკრულებათა ცალმხრივი ღონისძიებით თუ ძალადობის სიშვალებით გადასინჯვისა შედეგათ მოგვიტანდა მხოლოდ ეკონომიური კრიზისის გართულებას და მიმართავდა ქვეყნიერებას ომისაკენ.

იმ უსამართლობის წაშლა, რომელსაც საზავო ხელშეკრულობები შეიცავენ, შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიის და საერთაშორისო უფლების მეთოდებით. ეს უსამართლობა გამოსწორებული იქნება მუშათა კლასის ხელისუფლებისაკენ სვლით. ისე როგორც მუშათა სოც. ინტერნაციონალი მუდამ კიცხავდა და ებრძოდა გერმანიის და სხვა დამარცხებულ ქვეყნების უფლებათა თვითეულ დარღვევას, ისევე მუშათა სოციალისტური პარტიები—როცა ისინი ძალაუფლებას დაიპყრობენ და რამდენადაც ისინი მას დაიპყრობენ—შეუდგებიან ხელშეკრულებათა თანდათანობითსა და მშვიდობიან გადასინჯვას; ამ გადასინჯვის მიზანი იქნება უზრუნველყოფა ყველა ერთათვის უფლებათა თანასწორობისა, ხალხთა მშვიდობიან ოჯახის წიაღში, უზრუნველყოფა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლებისა მორიგებულ ევროპის წიაღში, მფარველობა და კულტურულ ავტონომიის მინიჭება ეროვნულ უმცირესობათათვის.

III.

მუშათა სოც. ინტ—ი მთელი თავისი ძალღონით ისწრაფვის მოუპოვოს ყველა ქვეყნების მუშათა კლასს შესაძლებლობა დემოკრატიის ნიადაგზე და დემოკრატიული საშვალებებით ბრძოლისა და ძალაუფლების იმავ დემოკრატიული მეთოდებით გამოყენებისა იქ, სადაც მთავრობა მის ხელშია.

მაგრამ, თუ კაპიტალისტთა კლასებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ბატონობენ დემოკრატიაზე, დაუშვეს ცენტრალური ევროპის მეურნეობისა და დემოკრატიის დანგრევა, მიუხედავათ ყველა ქვეყნების სოციალისტურ პარტიების ზეგავლენისა და მიუხედავათ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ცდისა ზავის და დემოკრატიის უზრუნველსაყოფათ, რასაც ინტერნაციონალი სრული ნდობით უყურებს;

თუ, გერმანიის მეურნეობის კატასტროფის წყალობით, ფაშისტურმა ძალმომრეობამ გამოაცალა მუშათა კლასს რეინის აღმოსავლეთით მდებარე ევროპის ქვეყნებში მისი დემოკრატიული სამოქმედო ასპარეზი,

მაშინ მუშათა კლასს დარჩება ერთად ერთი გამოსავალი—დაუპირდაპიროს ფაშისტურ ძალმომრეობას ყველა მის ხელთ მყოფი საშვალებანი. ქვეყნიერებას დარჩენია ერთად ერთი არჩევანი: ან სწრაფი და ხელგაშლილი დახმარება მეურნეობის, დემოკრატიის და ზავის გადასარჩენათ, ან და სამოქალაქო ომი.

ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობა.

I.

დასაწყისს რეზოლიუცია მოგვაგონებს, რომ უკვე ბრიუსელის კონგრესის რეზოლიუციაში 1928 წ. და, შემდეგ, მთელ რიგ რეზოლიუციებში ინტერნაციონალმა გარკვევით და დაწვრილებით განმარტა ეკონომიური კრიზისის და უმუშევრობის მიზეზები და მისი დამღუპველი შედეგები; ამავე დროს მან წამოაყენა მოთხოვნილებათა მთელი რიგი, რომელთა განხორციელებას შეეძლო შეემსუბუქებია კრიზისის შედეგები და თანდათან დაეძლია იგი.

«ამ რეზოლიუციების შემდეგ თითქმის ყველა ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი მეტად გაღრმავდა. დისპროპორცია წარმოებასა და მოხმარებას შორის გაფართოვდა, ბაზარი ყველგან შერყეულია. წარმოების დაცემას მოჰყვა კრედიტის სისტემის კატასტროფიული დაცემა.

კაპიტალისტური რეჟიმი იმყოფება დღეს ისეთ ფართე და ღრმა კრიზისში, რომლის მსგავსი მას არასოდეს განუცდია.

კაპიტალიზმმა უზომოთ გაავითარა საწარმოო ძალები და აღარ შესწევს უნარი მათი დამორჩილებისა.

კაპიტალიზმმა უკიდურესობამდე მიიყვანა რაციონალიზაცია, ის შეჰპირდა ქვეყნიერებას უდიდეს სიმდიდრეს, ხოლო შედეგათ მოიტანა მუშათა ექსპლოატაციის ინტენსიფიკაცია და უსაზღვრო ზრდა უმუშევრობისა, რაიცა მრავალ მილიონ მუშას სიღატაკის და უბედურების მორევში ისვრის.

კაპიტალიზმმა დიდათ შეზღუდა კერძო ინიციატივა. მან კარტელები გააფართოვა და საერთაშორისო მასშტაბზე გადაიყვანა. ეროვნულ ბაზრის დასაცავათ მან აღმართა უზომო საბაჟო კედლები და დიდათ დააბრკოლა საქონლის მოძრაობა ყველა ამის შედეგია პოლიტიკურ ურთიერთობის გამწვავება, ეკონომიური კონფლიქტები და დიდი არევდარევა საერთაშორისო აღებ-მიცემობაში.

კაპიტალიზმი შეეცადა მოეხდინა კრედიტის სისტემის სტაბილიზაცია საემისიო ბანკების თანამშრომლობით, ოქროს ვალიუტის აღდგენით, საერთაშორისო ანგარიშების მომწესრიგებელ ბანკის დაარსებით. სტაბილიზაციის მაგივრად გაჩაღდა ბირჟის სპეკულაციით გამოწვეული უზომო არევდარევა, რასაც მოყვა უდიდეს საფინანსო დაწესებულებათა გაკოტრება, ფულის სისტემის ძირიანად შერყევა, საერთო შიშიანობა და ნდობის მძიმე კრიზისები.

ყველა საშუალებამ, რაც კი სინჯა კაპიტალიზმმა კრიზისთან საბრძოლველათ, მუშათა კლასს მხოლოდ იმედის გაცრუება მოუტანა. კაპიტალიზმმა ცხადჰყო, რომ ის უძლურია მოაწყოს მეურნეობა და მოართოს იგი საყოველთაო კეთილდღეობის სასარგებლოთ.

II.

კაპიტალიზმის მეურნეობის თანდაყოლილი ანარქია არ შეიძლება მოსპობილ იქნას, თუ არ იქნა მოსპობილი თვით კაპიტალისტური სისტემა. ფართო მასები, თვით არა-პროლეტარული მასებიც კი, დარწმუნდენ, გაუგონარ სიღატაკის წინაშე, რომ კაპიტალისტურ ეკონომიური სისტემის ადგილი უნდა დაიჭიროს შეთანხმებულმა ორგანიზაციამ. სოციალისტურ პარტიების და მუშათა ორგანიზაციების მოვალეობაა გააძლიერონ ეს რწმენა, ამხილონ კაპიტალისტთა უვარგის ხელმძღვანელობის ღრმა მიზეზები, უჩვენონ გზა განსაზოგადოებრივებულ მეურნეობის განხორციელებისა და გამოიყენონ დღევანდელი კრიზისი პროლეტარიატის ბრძოლაში ბურჟუაზიულ კლასის ბატონობის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტურ ეკონომიურ სისტემის დასაძლევათ და სოციალისტურ მეურნეობის ასაგებათ უნდა დაუკავშირდეს, მიმდინარე მომენტში, ბრძოლას კრიზისის დასაძლევათ და მის მსხვერპლთა სასოწარკვეთილების და სიღატაკის შესამსუბუქებლათ; ამას მოითხოვს თვით პროლეტარიატის ინტერესი.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესი ადასტურებს ბრიუსელის და ციურიხის რეზოლიუციებს, რომელშიც დაწვრილებით გარკვეულია ამ შეწყობილ ბრძოლის სახელმძღვანელო ხაზები და მიზნები. ის მოუწოდებს მუშათა კლასს მთელი თავისი ძალღონით დაუჭიროს მხარი ამ მოთხოვნილებებს.

კონგრესი კმაყოფილებით აღნიშნავს ბრიტანეთის მუშათა მთავრობის მიერ თავისთავზე აღებულ ვალდებულებებს მოახდინოს 1931 წლის დამლევამდე ვაშინგტონის (სამუშაო დროის შესახები) კონვენციის რატიფიკაცია. ეს რატიფიკაცია შედეგათ მოიტანს კონვენციის ცხოვრებაში გატარებას იმ ქვეყნებში, რომელთაც პირობითი რატიფიკაცია მოახდინეს, და, ბოლოს, შესაძლებლათ გახდის რატიფიკაციას სხვა ქვეყნების მიერ.

ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაციის ცხოვრებაში გატარებამ უნდა წააქეზოს შეკავშირებული მუშათა კლასი მის ბრძოლაში სამუშაო დროის ახალ შემცირებისათვის. 40 საათის კვირის შემოღება, რის მოთხოვნილებაც წამოაყენეს საერთაშორისო პროფესიონალურმა ფედერაციამ და მუშ. სოც. ინტ-მა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმუშევართა ერთი ნაწილის წარმოებაში დასაბრუნებლათ და ამ გვარათ მთელი პროლეტარიატისთვის იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლათ, რომ მუშათა კლასის ერთი ნაწილი მუდმივათ გამორიცხული რჩება ყოველივე ეკონომიური საქმიანობისაგან.

თუმცა კონგრესი არ უარყოფს იმ სარგებლობას, რომლის მოტანა შეუძლია ერთა ლიგის მუშაობას, ის აღნიშნავს, რომ ლიგის ყველა ღონისძიება მეურნეობის საერთო ინტერესთან შესაგუებლათ დღემდე ფუჭი გამოდგა. თავისი დღევანდელი შინაგანი აგებულობით ერთა ლიგას არ ძალუძს მის წინაშე მდგარ ამოცანათა შესრულება. ის მხოლოდ მაშინ გახდება სავსებით უნარიანი ორგანო ახალი მეურნეობის აღშენებლობის საქმეში, როცა შეკავშირებული მუშათა კლასი მის მართველობაში პირველ ადგილს დაიჭერს.

კონგრესი დაჟინებით მოითხოვს მეურნეობაზე და განსაკუთრებით კაპიტალისტურ მონოპოლიებზე, კარტელებზე და ტრესტებზე, საჯარო და დემოკრატიული კონტროლის დაწესებას. რათა ამ კონტროლმა სრული ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა მოხდენილ იქნას ცვლილება საწარმოო და სააღებმიცემო საშუალებათა საკუთრების იურიდიულ ურთიერთობაში და აგრეთვე ეკონომიურ მეთოდებში. კონგრესი ფიქრობს, რომ სოციალიზაცია დასაყრდნობ ინდუსტრიათა, შექმნა სახელმწიფო და საკოოპერაციო სავაჭრო მონოპოლიების ეტატიზაცია (სახელმწიფოს ხელში გადასვლა) კრედიტის და ბანკების, შეადგენს პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯებს ამ გზაზე და მოამზადებს შეწყობილ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლას. ის მოუწოდებს სოციალისტურ პარტიებს ამ მოთხოვნილებათა ირგვლივ აწარმოონ ბრძოლა კრიზის წინააღმდეგ, და მათი ეროვნულ მასშტაბში განხორციელებით შექმნან წინასწარი პირობები მეურნეობის საერთაშორისო საჭირო კონტროლისა და მოამზადონ ამგვარად ნიადაგი სოციალიზმის განსახორციელებლათ.

III.

ბრძოლა, რომელსაც მუშათა კლასი კრიზისის წინააღმდეგ აწარმოებს, არის იგივე ბრძოლა პროლეტარიატისა პოლიტიკურ ძალაუფლების მოსაპოებლათ. რამდენადაც შეკავშირებული პროლეტარიატი გააძლიერებს, თვითეულ ქვეყანაში, კლასიურ ბრძოლას, იმდენათ ის შესძლებს შეანელოს, მთელს დედამიწაზე, კრიზისის შედეგები, სიღატაკე და სასოწარკვეთილება; ხოლო მისი გამარჯვება კაპიტალისტურ მეურნეობაზე შეძლებას მისცემს მას მოსპოს თვით კრიზისი. პოლიტიკის და ეკონომიკის ერთმანეთზე გადასკვნა არასოდეს არ ყოფილა ისე ცხადი, როგორც დღევანდელ მომენტში. და არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო საერთაშორისო პროლეტარიატის ერთობა და სოლიდარობა, მთელი მისი ძალების ამოძრავება, როგორც დღევანდელ ტრაღიკულ მომენტში.

კაპიტალისტური ანარქია თავის მსხვერპლს პოულობს არა მარტო ინდუსტრიის და მიწათმოქმედების მუშათა შორის. კაპიტალისტური კონცენტრაცია არა ნაკლები შეუბრალებლობით იწვევს ქალაქის და სოფლის შუათანა კლასების ექსპროპრიაციას და გაღატაკებას და ამგვარათ მომავალის იმედს მოკლებულ არსებობას უმზადებს ინტელიგენციას და ახალგაზდობას. პროლეტარიატი მოუხმობს კაპიტალისტურ მეურნეობის ამ ახალ მსხვერპლთ საერთო მტრის წინააღმდეგ სოლიდარულ ბრძოლისათვის.

სოციალიზმია უმაღლესი გამოხატულება ადამიანთა სოლიდარობისა. ის მოუწოდებს ყველა მორალურ ძალებს, რომელნიც უარყოფენ კაპიტალიზმს; უარყოფენ მას, ვინაიდან ის მოგების ეგოისტურ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, სიძულვილის წყაროა, ვინაიდან ის მოასწავებს უთანასწორობას სიმდიდრეთა განაწილებაში,—უთანასწორობას აგებულს ყოვლად უსაფუძვლო კლასიურ პრივილეგიებზე; ვინაიდან ის არგუნებს უსამართლო და ულმობელ ტანჯვას ადამიანთა ვეებერთელა უმრავლესობას, მოკლებულია ნამდვილ თავისუფლებას, ვინაიდან ის აფერხებს პიროვნების ნორმალურ განვითარებას.

არც ერთი სხვა ძალა ქვეყანაზე არ დაეხმარება მუშათა კლასს მის შესანიშნავ მოწოდებაში მეურნეობის გარდასაქმნელად, ვერც ერთი სხვა ძალა ქვეყანაზე ვერ შესძლებს ამ მოწოდების შესრულებას. ამ გაუგონარ ეკონომიურ კრიზისის წინაშე, სოლიდარულათ გაერთიანებულმა მუშათა კლასმა უნდა ისარგებლოს ყველა შესაძლებლობით, რასაც კლასთა ბრძოლა იძლევა, რათა მოიგერიოს სოციალურ რეაქციის ყველა თავდასხმა, რათა განახორციელოს სოციალიზმი და ზავი.

ფრ. სოუკუპის 60 წლის თავი

22 გასულ აგვისტოს ჩეხოსლოვაკიის სოც. დემ-იამ ამხ. სოუკუპის 60 წლის თავი იდღესასწაულა.

სოფლის უბრალო პატარა ყავახანის პატრონის შვილმა ფრანსუა სოუკუპმა, უმაღლესი სწავლა-განათლების მიღება პრაღის უნივერსიტეტში დაიწყო. იქ ის თავიდანვე მიემხრო სტუდენტთა რევოლიუციონურ მოძრაობას. მალე სოციალისტურ იდეების პროპაგანდისათვის პრაღის უნივერსიტეტიდგან გაძევებულ იქნა, რის შემდეგ გადავიდა ვენაში, სადაც მან დაამთავრა განათლება იურიდიულ ფაკულტეტზე და შეუერთდა სოც. დემოკრატიულ პარტიას.

40 წელიწადია, რაც ამხ. სოუკუპი სოციალისტურ მოძრაობაში ენერგიულ და დაუღალავ მონაწილეობას იღებს. ის დამაარსებელია ჩეხურ ყოველდღიურ სოციალისტურ პრესის (1897 წ.) და 1907 წლიდან მუდმივათ პარლამენტის წევრია. დიდ ომამდი ავსტრიის პარლამენტის წევრი იყო და იქ არა ერთხელ მიუღია აქტიური მონაწილეობა ჩეხების ცნობილ ობსტრუქციაში, ომის შემდეგ კი დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიის სენატის წევრია.

ათეული წლების განმავლობაში ამხ. სოუკუპი მეტათ დაახლოვებული პირია პრეზიდენტ მასარიკთან. მისი საუკეთესო მეგობარი და მუდმივი თანამშრომელია. ჩეხოსლოვაკიის რევოლიუციის დროს 1918 წელში ის გახდა წევრი დირექტორიის, რომელმაც გამოაცხადა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა. ამ დირექტორიაში სოუკუპი იუსტიციის მინასტრათ იყო მიწვეული. 1929 წლიდან კი ის სენატის თავმჯდომარეა.

ამხ. სოუკუპი ავტორია მრავალი შრომებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია «28 ოქტომბერი», სადაც მოთხრობილია ჩეხოსლოვაკიის რევოლიუციის ამბები. მას დაწერილი აქვს აგრეთვე მრავალი საპროპაგანდო ბროშურები. 35 წელია რაც ამხ. სოუკუპი სოციალისტურ ინტერნაციონალის ეკზეკუტივის წევრათ ითვლება და 1904 წლიდან ინტერნაციონალის ყველა კონგრესებს ესწრება.

ჩეხოსლოვაკიის სოც. დემოკრატიულმა პარტიამ ამხ. სოუკუპის პატივსაცემლათ და მისი იუბილეს გამო გამოსცა ალმანახი, სადაც სხვა უცხოელ სოციალისტს წერილთა შორის მოთავსებულია ამხ. გვარჯალაძის წერილი. მოგვყავს ამ წარილიდან შემდეგი ადგილი: «... ქართველი ერი და მისი ხელმძღვანელი სოც. დემოკრატიული პარტია სასტიკ ბრძოლას აწარმოებს დღეს უცხო დამპყრობელის წინააღმდეგ. ამ უთანასწორო ბრძოლაში მთელი სოციალისტური ინტერნაციონალის თანაგრძნობა მუდამ ქართველი ერის მხარეზე იყო, მაგრამ [illegible] წევრები ქართულ საკითხში განსაკუთრებულ ინტერესს და აქტივობას იჩენენ. ამათ შორის პირველ რიგში ყოველთვის ამხ. სოუკუპი არის.

ამხ. სოუკუპს, როგორც საუკეთესო ჟურნალისტს, ტრიბუნს, დეპუტატს ათეული წლის განმავლობაში თვითონ უწარმოებია თავის ქვეყანაში შეუპოვარი ბრძოლა უცხოელთა წინალმდეგ. მან კარგათ იცის, თუ როგორია ჩაგრული და ფეხქვეშ გათელილ ერის მდგომარეობა და სულისკვეთება. მას კარგათ ესმის, თუ როგორაა დაინტერესებული თავისუფლების მოპოვებაში დამონავებული ერის დემოკრატია და მუშათა კლასი. მებრძოლი მებრძოლთ ყოველთვის უფრო იგებს და მათ მხარეზე დგება.

ამხ. სოუკუპი თავის მქუხარე ხმით მჭევრმეტყველურათ ხშირათ გადმოგვძახებდა ქართველ ამხანაგებს: ჩეხოსლოვაკიიის ერმაც განვლო თივის ისტორიის მანძილზე საშინელი ტრაღედია. სამასი წლის წინეთ ჩვენ ამოგვშალეს ევროპის ისტორიიდან. ჰაპსბურგის დინასტიამ დაგვადო ჩვენ საფლავის ლოდი, წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, განდევნა ასი ათასი ჩვენი საუკეთესო შვილები უცხოეთში, დასწვა ჩვენი ლიტერატურა, ფეხქვეშ გათელა ჩვენი ერი და მე-18 საუკუნის დასასრულში უმაღლეს ტანჯვაში მყოფი ჩვენი ერი გაკრულ იქნა გოლგოთაზე. ავსტრია-უნგრეთმა დაატრიალა ტერორი და ტანჯვა-წამება, მაგრამ დაბოლოს ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ. დღეს საქართველოც უსაზღვროთ ტანჯული, გაკრულია გოლგოთაზე. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ბრწყინვალე წარსული გაქვთ. დღეს არა ხართ მარტო, როგორც არ ვიყავით მარტო ჩვენ. საქართველოსთან ერთად არის მთელი მსოფლიო დემოკრატია და საერთაშორისო სოციალიზმი. ქედს ნუ მოიხრით მტრის წინაშე, გააგრძელეთ ბრძოლა და საქართველო აღსდგება ისევ ისე, როგორც ავდექით ჩვენ, ჩეხოსლოვაკებიო.

ამხ. სოუკუპის ბრძოლის ასეთი ყიჟინა და გამარჯვების სურვილები ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ხშირათ მისდიოდა კავკასიაში ქართველ ხალხს და მის მუშათა კლასს. და ქართველ მუშებმაც შეიყვარეს ის. ამიტომაც არის, რომ არალეგალურ პარტიულ ყრილობებზე საქართველოს სოც. დემოკრატია ამხ. სოუკუპს ყოველთვის საპატიო თავმჯდომარეთ ირჩევს.

ამხ. სოუკუპი არის არა მხოლოდ ჩეხოსლოვაკ მუშების ბელადი და მედროშე, არამედ როგორც ინტერნაციონალურ ასპარეზზე მომქმედი და აქტიური პიროვნება, ის სხვა ყველა ქვეყნების მუშებსაც ეკუთვნის და მათი ბელადი და ხელმძღვანელიც არის.

ამხ. სოუკუპის 60 წლის თავზე საქართველოს სოც. დემოკრატია მას მის საუკეთესო სურვილებს მიუძღვნის, უსურვებს დღეგრძელობას და ინტერნაციონალურ სოციალიზმის სასარგებლოთ კიდევ დიდი ხნის მოღვაწეობას».

სოუკუპს მისალმების დეპეშა გაუგზავნეს ამხ. ნ. ჟორდანიამ და კ. გვარჯალაძემ.

საქართველოს ამბები

საქართველოდან შემდეგს გვატყობინებენ: ეკონომიური და სასურსათო კრიზისი უმწვერვალეს საფეხურს აღწევს. გასული წელი ამასთან შედარებით სამოთხეთ გვეჩვენება. კოოპერატივებში არ იშოვება არაფერი. კერძოთ რაიმეს შეძენაზე ხომ სოფელშიაც ფიქრი ზედმეტია. კოოპერატივებიდან ჯერ კომუნისტებს და აპარატჩიკებს აკმაყოფილებენ. მათ მოთხოვნილებას აღარაფერი რჩება და თუ კი გადარჩა რაიმე მის მისაღებად შემოღებულია ხუთი კატეგორია. რიგში მთელი 24 საათი უნდა იდგე, რომ უმნიშვნელო რამ მიიღო. ეგების მიშინაც სახლში ხელცარიელი წახვიდე. ამ შუაგულ ზაფხულში ხილის და ბოსტნეულის შოვნაც გაძნელებულია. ტანისამოსზე ხომ ლაპარაკიც მეტია. სოფლებში ხალხი სულ ტიტველი დადის. შაქრის და საპონის ნორმები სრული სამი თვეა არ დარიგებულა. პურსაც ხშირათ ნახევარ ნორმას არიგებენ.

სოფელში დღეს ცხოვრების იგივე პირობებია, როგორც ქალაქში. ამდეხანს სოფლის მცხოვრებნი გაცილებით უკეთეს პირობებში იყო ვიდრე ქალაქის. სურსათ-სანოვაგე არც აქ იშოვება. დასავლეთ საქართველოში თითქმის ყოველგან შიმშილობაა. სიმინდი კოოპერატივებმა წაიღეს ჩალის ფასათ და იქედან რომ იყიდო ათჯერ უფრო მეტი უნდა გადაიხადო..თუ რამე გაქვს კოოპერატივს უნდა ჩააბარო, კერძოთ გაყიდვა სასტიკათ აკრძალულია ან და ვინ არის მყიდველი, როცა ფული სოფელში არავის არ აქვს. კოლექტივებშიც ნაჭრობითი მუშაობაა შემოღებული. თუ ნორმა არ შეასრულე არაფერს მოგცემენ და შიმშილით გაგიწყდება ცოლშვილი. კოლექტივის გარეშე დარჩენილთა მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. მათ თავისი ნაოფლარი და ნაჯაფი გაცილებით ცუდ პირობებში უნდა ჩააბარონ ან კოოპერატივს ან და თვით კოლექტივს. «კულაკების» ხსენება სოფლათ უკვე აღარ არის. ისინი ან დაჭერილია ან გადასახლებული. ამ გაზაფხულზე ყველგან დიდ გამოსვლებს ქონდა ადგილი. ამის გამო ციხეები ავსილია პატიმრებით. ასეთი დიდი რეპრესიები კარგი ხანია არ ყოფილა. რამდენიმე ეტაპი კიდევაც გაგზავნეს რუსეთში. გამოსვლებს მთელ კავკასიაში ქონდა ადგილი. აზერბიჟანში და მთაში ნამდვილი რეგულიარული ბრძოლები სწარმოებდა. ყველა სამაზრო ცენტრში ჩაყენებულია წითელი ჯარის ნაწილები. ნაციონალური ჯარის ნაწილებს სრულიად აღარ ინდობენ, ამათგან დაატუსაღეს ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლების გამო ბორჩალოს და ყარაიაზის სოფლები სულ გაანადგურეს. მთელი ოჯახები აყარეს და ტურქესტანში გადაასახლეს. მათ ადგილ-მამულზე სომხებს ასახლებენ. ერთი სიტყვით აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია და ვინ იცის კიდევ სანამდე მივა ბოლშევიკების სიმხეცე.

—

საოკუპაციო ხელისუფლების მიერ სოფლად წარმოებულ პოლიტიკის ნიადაგზე დიდი მოძრაობა დაიწყო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. აუარებელი ხალხი არის ტყეში გახიზნული და აქტიურ ბრძოლას აწარმოებს ხელისუფლების წინაალმდეგ. უკანასკნელი ცნობით, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში მოქმედებს 2000-მდე შეიარაღებულ გლეხთა რაზმები.

—

გლეხთა მოძრაობის და შექმნილ ეკონომიურ პირობების გამო საოკუპაციო ხელისუფლება იძულებულია ზოგ დათმობაზე წავიდეს ეკონომიურ სფეროში. მაგ. უკვე განკარგულება გასცეს ნაწილობრივ კერძო ვაჭრობის შემოღების შესახებ. მაგრამ მიუხედავათ ამისა სანოვაგის ფასი მაინც მატულობს და მის ზრდას საზღვარი არ უჩანს. აი, ზოგიერთი სანოვაგის ფასები: ქათამი—15 მან. პური გირ. (შავი)—2 მან.; ყველი გირ.—6 მან., ხორცი დაბალი ხარისხის გირ.—4-5 მან.; მჭადის ფქვილი ფუთი—30 მან. და სხვა. ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა ჯამაგირი კი დარჩა ძველი.

—

პოლონეთის გაზეთების ცნობით ივნისის დამლევს ბორჯომის ციხიდან გამოყვანის დროს გაიქცენ თორმეტი პოლიტიკური ტუსაღი. ისინი დატუსაღებულნი იყვნენ გაზაფხულზე მომხდარ გამოსვლების გამო. ამათში არიან მენშევიკები ბერიშვილი და დოლიძე, რომელთაც სიკვდილით დასჯა ქონდათ მისჯილი.

◆

კიდევ ერთი საწინდარი საქართველოს დამოუკიდებლობისა

გადასახლებული ამხანაგები გვაუწყებენ ტაშკენტიდან, რომ მათ რიგებს გამოაკლდა უსაყვარლესი ფიგურა პავლე გაფრინდაშვილის. საცოდავმა ვერ გაუძლო ჯერ ციმბირის ყინვებს და შემდეგ შუა აზიის სიცხეში დაიწვა ტვინის ანთებით... ამ ამბის გამგე მისი ნაცნობ-მეგობრები, დადაღული გულით, გლოვა-მწუხარებით გაიმეორებენ ანნიბალის ფიცს მის აჩრდილის და მაგალითის წინაშე, რომ არ უღალატებენ იმ მაღალ საქმეს, რასაც მან შესწირა მისი სიყრმე-სიჭაბუკე.

პავლე ეკუთვნოდა ქართველი ახალგაზდობის იმ ნაწილს, რომელსაც რაც თავი ახსოვს არ გაუხარია. მისი მშობელი კუთხე ჭიათურის რაიონი, სოფ. შუქრუთია, სადაც პირველათ იფეთქა ქართველი მუშისა და გლეხის დაგროვილმა გულის წყრომამ საოკუპაციო რეჟიმის მიმართ. პროლეტარული შთამომავლობის, იგი ცამეტი წლის თუ იქნებოდა რაც დაობლდა, მამა დიდ ომში მოუკლეს და მის ამარათ დარჩნენ ქვრივი დედა და პატარა და-ძმანები. ბავშობიდანვე ის შეება უსწორო ბრძოლაში სოციალურ უკუღმართობას და ეს სულით მოზარდი უეჭველში გმირი უნდა დარჩენილიყო. მან არ იცოდა დაღლა და მოწყენილობა, შიში და გატეხილობა. დაბრუნდებოდა თუ არა სკოლიდან, ის გარბოდა საოჯახო საქმეებზე, ან ღამის რიგში შავი-ქვის მაღაროებში სამუშაოთ. გაკვეთილებს კი იქვე სასწავლებელში და გზაში ამზადებდა. რევოლიუციის პირველ დღეებში პავლე წითელ დროშას აფრიალებს და 1917 წლიდან ის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზიის უერდგულესი და მუყიათი წევრია. ბოლშევიკების შემოსევის და საქართველოს დაცემის შემდეგ პავლე არალეგალურ მუშაობაში იმდენ უნარს და თავდადებას იჩენს, რომ მთელ რაიონში ყველა ამხანაგების ნდობას და სიყვარულს იმსახურებს. მოახლოვდა 1924 წლის აჯანყების დღე და ის ყველა დავალებებს წვეთის სისწორით ასრულებს და როცა ყვლაფერი გამზადებულია, ამხანაგები მორიდებით სთხოვენ მას, რომ თავი შეიკავოს ღამის ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისაგან, მისი უმწეო ოჯახური მდგომარეობის გამო. მაგრამ მისი კეთილშობილი ბუნება ასეთ შეთავაზებას უხეშ შეურაცხყოფათ ღებულობს და გარბის იქით, საითაც მტრის ბინები ეგულება.

ჭიათურის აჯანყება სისწორით რომ ვსთქვათ პავლეს პატარა ვენახიდან დაიწყო და გაგრძელდა მისი უშვალო მონაწილეობით...

აჯანყება სისხლში ჩაალრჩვეს და ჭიათურა გადაიქცა შავ ბნელ საფლავათ. პავლე კი დაიჭირეს რამდენიმე დღის შემდეგ და სრულიად შემთხვევით გადარჩა დახვრეტას, მაგრამ მის შემდეგ აღარ მოაცილეს ციხესა და ჩეკის სარდაფებს. 1926 წელში გადაასახლეს ციმბირში, შემდეგ ტაშკენტში სადაც მან, 28 წლის ახალგაზდამ ტანჯვა-წამებასა და უსაღსროებაში დალია მისი უმანკო სული, კიდევ ერთი საწინდარი საქართველოს დამოუკიდებლობის...

ძმაო პავლე! გვაპატიე ვინც შენთან ბრძოლაში ერთად ვიყავით და სიკვდილის დროს ვერ დაგიტირეთ; ბედმა სამარცხვინო ცხოვრება, სამშვიდობოს ყოფნა გვარგუნა წილათ. გვიწამე მაინც გულწრფელი სურვილებით, ურყევი ნებით, რომ სიკვდილით ან გამარჯვებით ისევ შენს აჩრდილს შეუერთდებით. მანამ კი მშვიდობით, არა, ნახვამდის, ნახვამდის ძვირფასო მეგობარო, ამხანაგო პავლე!

ხ. ლიაძე, ვასო ლაბაძე, გრ. წერეთელი, პავ. ვაშაძე.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა და პოლიტიკა

ინგლისის მუშათა პარტიის კრიზისი.

ინგლისის მუშათა მთავრობა გადადგა. მეფემ ხელახლათ მაკდონალდი მოიწვია პირველ მინისტრათ. მაკდონალდმა ყველასათვის მოულოდნელათ კონსერვატორებთან და ლიბერალებთან ერთათ კოალიციონური მთავრობა შეადგინა.

მაკდონალდი ამ თავის მოქმედებას იმით ამართლებს, რომ ინგლისის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა უდიდესი სისწრაფით უარესდება. ვაჭრობის საქმე ცუდათ მიდის. ამ მსოფლიო კრიზისის დროს ინგლისის კრედიტებს უცხოეთში აღარ აქვს ისეთივე მტკიცე საფუძველი, როგორც წინეთ. სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობა დარღვეულია და მას დაუყონებლივ გამოსწორება სჭირია. საჭიროა, რომ საზოგადოების ყველა კლასებმა, და მათ შორის მუშებმაც, გაიღონ სათანადო მსხვერპლი. უნდა შემცირებულ იქნას უმუშევრების დახმარება ათი პროცენტითო. მუშათა მთავრობა შეეცადა ყველაფერი ეს მოეგვარებია, მაგრამ სამწუხაროთ ეს მან ვერ შესძლო, ყველაფერში ვერ შევთანხმდითო. ამავე დროს კი საჭირო იყო შინაური და საგარეო ნდობის მოპოვება და გამაგრება. ამისათვის აუცილებელი შეექნა ყველა პარტიების მონაწილეობით ახალი მთავრობის შედგენა, რომ შექმნილ მდგომარეობიდან თავი დაგვეხწიაო.

ინგლისის მუშათა კლასის ცენტრალურმა ორგანოებმა, როგორიც არიან ტრედუნიონების გენერალური საბჭო, მუშათა პარტიის ეკზეკუტივი და საპარლამენტო ფრაქციის სათათბირო კომიტეტი, მაკდონალდის ეს ნაბიჯი არ გაიზიარეს და მის ახალ მთავრობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს.

მათ გამოაქვეყნეს საერთო მანიფესტი, რომელშიც აცხადებენ, რომ მაკდონალდს, სნოუდენს, თომასს და ლორდ სანკეის კოალიციურ სამინისტროში შესასვლელათ მათგან არ მიუღიათ სათანადო მანდატი, რომ ისინი მოქმედებენ როგორც კერძო პირები და არა როგორც მუშათა მოძრაობის წარმომადგენელნი, და მათი მოქმედებისათვის ჩვენ არავითარ პასუხისმგებლობას არ ვკისრულობთო.

მუშათა პარტიის მანიფესტი და მისი ყოველდღიური გაზეთი—«დეილი ჰერალდ»ი ამტკიცებენ, რომ მაკდონალდის მოქმედება არის ერთნაირი პანიკის შედეგი, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა შინაურ და უცხოელ ბანკების და მრეწველების მიერ ატეხილმა კამპანიამ და ის ამ უკანასკნელთა შეთქმულების მახეში გაება.

მუშათა მანიფესტის აზრით ინგლისს უცხოეთში დიდძალი კაპიტალი აქვს დაბანდებული და თუ იქნებოდა მიღებული სათანადო ზომები, ამ კაპიტალის მობილიზაცია არც ისე ძნელი საქმე იყო. ბიუჯეტის წონასწორობის აღსადგენათ შესაძლებელი იყო სხვა გზების გამონახვა და არ იყო აუცილებელი უმუშევრების დახმარება შემცირებულიყო და მით მუშათა კლასის ისედაც ცუდი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულიყო.

ამ ბოლო ხანებში ამერიკის ბანკების და მრეწველთა წარმომადგენელნი ხშირათ იკრიბებოდენ და თათბირობდენ. მათ დიდათ აწუხებს ის რომ ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს უმუშევრებისადმი დახმარება ამერიკაშიდაც დაკანონებულ იქნას. ისინი ყოველნაირ ხერხს მიმართავენ, რომ ასეთი კანონმდებლობის შემოღებას ამერიკაში ხელი შეუშალონ და თვით ინგლისშიდაც კი უმუშევრებისადმი დახმარება შემცირებულ იქნას.

ამ ორი-სამი კვირის წინეთ ინგლისში უცებ გირვანქა ცოტათი ეცემა. მთელი ბურჟუაზიული პრესა იწყებს კამპანიას: ვიღუპებით, ხსნა აღარ არის, თუ ამერიკა არ მოგვეშველაო. ამერიკელი ბანკები თავის მხრივ აცხადებენ, რომ ჩვენ მუშების მთავრობას ვერ ვენდობით; მას ფულს ვერ მივცემთ. თუ ეხლავე ინგლისში არ შედგა კოალიციონური მთავრობა და მუშებისადმი დახმარების და წვრილი მოხელეების ჯამაგირების შემცირებით ბიუჯეტის წონასწორობა არ დამყარდაო.

მაკდონალდმა შეადგინა ეგრეთ წოდებული ნაციონალური მთავრობა. მაგრამ სინამდვილეში კი ეს მთავრობა მხოლოთ ორი პარტიის—კონსერვატორების და ლიბერალების მთავრობაა. მუშათა პარტია იქ არ იღებს მონაწილეობას, ის მთავრობას ოპოზიციაში უდგას და მის მოქმედებისათვის არავითარ პასუხს არ აგებს.

მთავრობაში მონაწილეობას იღებენ მუშათა პარტიის ყოფილი სამი საუკეთესო ხელმძღვანელნი და მუშათა წრეებში მეტათ პოპულიარული პიროვნებანი—მაკდონალდი, სნოუდენი და თომასი. ამ სამი პიროვნების მდგომარეობა დღეს მეტათ ტრაღიკულია. სამივე დიდი წარსულის და დიდი ნიჭის მქონე საზოგადო მოღვაწე, გულწრფელათ ფიქრობენ, რომ მათი ნაბიჯი სწორია, რომ ისინი ემსახურებიან მთელი ერის ნამდვილ ინტერესებს. მაგრამ პოლიტიკურ მოღვაწეს მხოლოთ მაშინ უწევენ შესაფერ ანგარიშს, მას მხოლოთ მაშინ აქვს წონა და გავლენა, როცა მას ზურგს უმაგრებს დარაზმული პარტია. მაკდონალდ-სნოუდენ-თომასის უკან დღეს კი სწორეთ არავინ აღარ დგას.

მაკდონალდმა, სნოუდენმა და თომასმა მათი პარტიის ცენტრალურ ორგანოების დადგენილებებს და სურვილს არ გაუწიეს ანგარიში და პარტიის დაუვალებლათ გადადგეს მეტათ საპასუხისგებო ნაბიჯი. პარტიამაც მათ, საუკეთესო ხელმძღვანელებს და ლიდერებს, ეს არ აპატივა და მათ თავისი ნდობა ჩამოართვა. მაკდონალდის საარჩევნო ოლქში მუშათა პარტიის კომიტეტმა მოსთხოვა მას მანდატზე უარი ეთქვა. თომასი იძულებული შეიქნა უარი ეთქვა რკინის გზელების კავშირის გენერალურ მდივნობაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ადგილი მას უცვლელათ ეჭირა 35 წლის განმავლობაში და ტრედუნიონთა შორის მეტათ პოპულიარული იყო.

მაკდონალდის და სნოუდენის პიროვნება ნათლათ მოსჩანდა დიდი პარტიის მოქმედების «ფონზე», მათი ნიჭი ფრთებს შლიდა ამ პარტიის დავალებების და სურვილების ასრულებაში. დღეს კი ისინი ბოლდვინ-ლოიდჯორჯის ტყვეები არიან და რაც უფრო გაგრძელდება ეს მათი მდგომარეობა, მით უფრო დაეცემა მათი გავლენა და მნიშვნელობა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაკდონალდმა მისი ეხლანდელი პოლიტიკით გამოაცოცხლა ინგლისის პოლიტიკურ ასპარეზიდგან სწრაფათ უკან მიმავალი ძალა. მან სული ჩაუდგა ლოიდჯორჯის პარტიას, ფეხზე წამოაყენა, კონსერვატორებთან მიიყვანა, მათ შორის ხიდი გასდო, ისინი ერთმანეთს დაუახლოვა და მით ინგლისის მუშათა კლასის და პარტიის პოზიცია თვალსაჩინოთ შეასუსტა. ამის შედეგებს მუშათა პარტია ალბათ მომავალ არჩევნებში განიცდის.

შექმნილ მდგომარეობას და ბურჟუაზიულ ძალების თავდასხმას ინგლისის მუშათა პარტია ჩვეულებრივი სიდინჯით და თავის რიგების მჭიდროთ შეკვრით შეხვდა. მაკდონალდ-სნოუდენ-თომასი განმარტოვებული არიან. პარტიის ახალ ლიდერათ არჩეულია ჰენდერსონი, პარტიის საუკეთესო და გამოცდილი ორგანიზატორი. ეხლა მის ირგვლივ და მისი ხელმძღვანელობით იკრიბება და საბრძოლველათ ემზადება მთელი მუშათა პარტია. ეჭვი არ არის ინგლისის მუშათა პარტიის კრიზისი დღეს არც ისე დიდია, როგორც ამას მისი მტრები და მოწინაალმდეგენი ნატრობდენ და მოელოდენ.

მუშათა მოძრაობა ისპანიაში.

რამდენიმე თვის წინ, სანამ ისპანიაში რევოლიუცია მოხდებოდა, ბურჟუაზიულ რესპუბლიკანურ დაჯგუფებების წარმომადგენლებთან ერთათ სოციალისტურ პარტიის და პროფესიონალური კავშირების რწმუნებულებმა შექმნეს საერთო მოქმედების ორგანო—რევოლიუციონური კომიტეტი, შეიმუშავეს საერთო მოქმედების გეგმა და მანიფესტით მიმართეს ხალხს.

სოციალისტური პარტიის და პროფესიონალური კავშირების დავალებით რევოლიუციურ კომიტეტში შედიოდენ და მანიფესტს ხელს აწერდენ ლარგო კაბალერო, ფერნანდო დელ რიო და პრიეტო. 15 დეკემბერს რევოლიუციური კომიტეტი დაჭერილ იქნა ალფონს მეცამეტის მთავრობის აგენტების მიერ. ოთხი თვის შემდეგ კი, 14 აპრილს, მეფე ალფონსი საზღვარგარეთ გაიქცა და რევოლიუციონურმა კომიტეტმა თავი დროებით მთავრობათ გამოაცხადა.

სოციალისტების რიგებში არ იყო თანხმობა რევოლიუციურ კომიტეტში თუ დროებით მთავრობაში მონაწილეობის შესახებ. პარტიის უმცირესობა იმ აზრის იყო, რომ ისინი ვერ გაიზიარებენ პასუხისმგებლობას რესპუბლიკანელებთან ერთათ და მათ ვერ ენდობოდენ. მათთან კოალიცია პარტიის გავლენას და პრესტიჟს დასცემდა მასაში. ამ უმცირესობას ხელმძღვანელობდენ პარტიის ლიდერები: ბესტეირო და საბორი. პარტიის დიდი უმრავლესობა კი საჭიროთ და მიზან შეწონილათ სთვლიდა სოციალისტების მონაწილეობას «ბურჟუაზიულ რევოლიუციის ყველა ფორმებში და მოქმედებაში» მონარქიული რეჟიმის დასანგრევათ.

პარტიის ლიდერები, ბესტეირო და საბორი, რომელთაც პარტიის უმრავლესობა არ გაყვა, ცენტრალურ დაწესებულებებიდან გადადგენ.

ისპანიას სოციალსტურ პარტიაში დღეს 23.000 წევრი ითვლება. პროფესიონალურ კავშირებში კი 300.000. მუშათა ორგანიზაციების ასეთი ძალა ცოტა არ არის მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც ისპანიაა. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ სოციალისტურმა პარტიამ ისპანიაში, სადაც 20 მილიონი მცხოვრებია, ამ რევოლიუციის დროს ასეთი როლი ითამაშა და თამაშობს დღესაც. ეს აიხსნება მით, რომ ისპანიაში დღეს არსებულ ყველა პარტიათა შორის სოც. პარტია ყველაზე უკეთ არის ორგანიზაციულათ დარაზმული და მუშათა კლასთან მჭიდროთ დაკავშირებული.

ისპანიის პროფესიონალური კავშირები, რომელთაც მუშათა გენერალური კავშირი ეწოდება, ორგანიზაციულათ დამოუკიდებელი არიან სოციალისტური პარტიისაგან, მაგრამ ამ უკანასკნელის დიდ გავლენას განიცდის და მათი ხელმძღვანელნი თითქმის ყველა სოციალისტებია.

დღევანდელი შრომის მინისტრი დროებით მთავრობაში, ლარგო კაბალერო, პროფესიონალური კავშირების გენერალური მდივანია და სოციალისტური პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი. ის ამას წინათ აცხადებდა—მე მთავრობაში პარტიის და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელი ვარ და ამავე დროს ვრჩები ამ კავშირების გენერალურ მდივნათ და პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრათაცო.

გარდა მუშათა გენერალურ კავშირისა, სადაც გაერთიანებულია მუშათა მოძრაობის საუკეთესო ელემენტები, არსებობს აგრეთვე შრომის ნაციონალური კონფედერაცია, რომლის გავლენას განსაკუთრებით ბარსელონის მუშები განიცდიან. ეს კონფედერაცია ანარქისტული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. კომონუსტური პარტია დღეს მთელ ისპანიაში სრულ არარაობას წარმოადგენს. არსებობს კომუნისტების ერთი ორგანიზაცია სევილში, მეორე, კიდევ უფრო სუსტი, მალაგაში. ევროპის ზოგს გაზეთებში მოთავსებული ცნობები ვითომ ისპანიის კომუნისტ. ორგანიზაციები იზრდება და ვითარდება სრულიად ყალბია.

ისპანიის სოციალისტურმა პარტიამ მისი ორგანიზაციული სიძლიერე დაამტკიცა ამ უკანასკნელათ დამფუძნებელი კორტესების არჩევნების დროს. მას დღეს ისპანიის დამფუძნებულ კრებაში 120 დეპუტატი ყავს და მისი ფრაქცია იქ სხვა ყველა ფრაქციათა შორის უძლიერესია.

გასულ ივლისის შუა რიცხვებში მადრიდში შეიკრიბა ისპინიის სოციალისტების კონგრესი. კონგრესის დღის წესრიგში ერთი უმთავრეს საკითხთაგანი იყო, სოციალისტების მონაწილეობა დროებით მთავრობაში. დიდის უმრავლესობით მიღებულ იქნა ეხლანდელ ფინანსთა მინისტრის პრიეტოს წინადადება, რომ სოციალისტები დარჩებიან დროებით მთავრობაში დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღებამდე და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევამდე. შემდეგ კი მთავრობაში მონაწილეობის საკითხი ხელახლა იქნება განხილული პარტიის სათანადო ორგანოების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ისპანიის დამფუძნებული კრების პირველი თავმჯდომარე სოციალისტი ბესტეროა, რომელიც ერთხმათ იქნა არჩეული ყველა ფრაქციების მიერ.

ვ.

◆

გამოვიდა და იყიდება

ნოე რამიშვილის

უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც განსვენებულმა

მისი დაღუპვის წინ დაამზადა გამოსაცემათ:

„დემოკრატიული სოციალიზმი“

წიგნი ღირს 6 ფრანკი.

დაკვეთა შეიძლება ამხ. ჩუბინიძესთან

4, Impasse des Prêtres. Paris 16.

„დემოკრატიული სოციალიზმი“

ვისაც ჰქონია შემთხვევა ვსაუბრნა სოციალიზმის საკითხებზე საბჭოთა საქართველოში წამოზრდილ და იქ განვითარებულ ამხანაგებთან, მან იცის თუ რა არა-სრული, ხშირად მახინჯი წარმოდგენა აქვთ მათ ჩვენი მოძლვრების დემოკრატიულ საფუძვლებზე. რა თქმა უნდა, ამისთვის მათ ვერავინ გაკიცხავს, ეს ბუნებრივი შედეგია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი პირობების. მით უფრო აუცილებელ საჭიროებას შეადგენს შევებრძოლოთ ამ ნაკლს, მივაწოდოთ ჩვენს მოზარდ თაობას სწორი ცნობები და წარმოდგენა ევროპიულ, დემოკრატიულ სოციალიზმზე. ამ საშურო მიზანს ემსახურება ნოე რამიშვილის ახალი წიგნი.

განსვენებულ ნოეს რომ წინდაწინ სცოდნოდა მისი ტრაღიკული ბედი, უკეთესს ანდერძს ვერ დასტოვებდა. მისი უკანასკნელი შრომა არა მარტო გარეგნულათ, ლიტერატურულათ მოხდენილათაა დაწერილი—მარტივი ენა, მოჭრილი სტილი, ნათელი აზრი, მასალის საზრიანათ დაწყობა და აცმა—, არამედ მდიდარი და კარგად დამუშავებული შინაარსისაა. იქ თქვენ იპოვით მოკლე ისტორიულ ნარკვევს დოქტრინისას, დემოკრატიულ სოციალიზმის და საბამს, ბოლშევიკების მიერ მის გაყალბების ახსნას, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ახსნა-განმარტებას იმ პრობლემებისა, რაც უკანასკნელმა, ომის დროის შედეგმა ეპოქამ დაუყენა სოციალიზმს, და მათ გადაჭრას დემოკრატიული სოციალიზმის თვალსაზრისით, და ყველაფერ ამას, თვითეულ საფეხურს ჩვენი მცნების გაშლისა თან ახლავს მოკლე აღწერა სათანადო ეკონომიურ პირობებისა, ნაჩვენებია მჭიდრო, ორგანიული კავშირი დოქტრინის და ეკონომიურ ცხოვრების განვითარების შორის.

მაგრამ ნ. რამიშვილის წიგნში თქვენ ეცნობით დემოკრატიულ სოციალიზმს არა მარტო ევროპიულ ნიადაგზე. ავტორი მას უკავშირებს ჩვენი ქვეყნის პარობებს, ჩვენს პოლიტიკას წარსულში და ჩვენს მიმდინარე და მომავალის საჭიროებებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული, ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკასთან ერთად, ეროვნულ საკითხს, რაიცა მოქცეულია სოციალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის ჩარჩოებში.

ასეთია, სრულიად გარეგნულად და ზოგადი აღნუსხვით, შინაარსი წიგნისა. ბევრს ჩვენს ამხანაგს ის მისცემს მრავალ ახალ მასალას, შეიყვანს ახალ, საამდროვო იდეთა წრეში, დაუყენებს ახალ პრობლემებს, აუმუშავებს აზრს და აღუძრავს ინტერესს და წყურვილს სავსებით გაერკვიოს დემოკრატიულ სოციალიზმის მიმდინარე მძიმე და რთულ პრობლემებში.

«დემოკრატიული სოციალიზმს» უნდა გაეცნოს თვითეული ქართველი სოციალისტი, არა მარტო როგორც უკანასკნელ სიტყვას ქართულ სოციალიზმის ერთ-ერთ შეუპოვარ ბელადისას, არამედ აგრეთვე როგორც მოკლე, მაგრამ, მოხდენილ დასურათებას ჩვენი მოძღვრების—წარსულის და აწმყოსი.

ძველი.

◆

პარტიული ცხოვრება

პარიზის ახალგაზდა სოციალდემოკრატთა ორგანიზაციაში. პარიზის ახალგაზდა ამხანაგებმა კაი დიდი სიურპრიზით დაგვასაჩუქრეს. გასულ თვეში გამოვიდა ორი სხვადასხვა გამოცემა ერთი და იგივე სახელწოდებით («ახალგაზდა სოციალდემოკრატი»). ასეთი საკვირველი გაორება ორგანიზაციისა, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ჩვენი პარტიის ისტორიაში გაუგონარია. ეს ემიგრანტული მარცხი მით უფრო გასაკვირალი და დასაგმობია, რომ მას არავითარი სერიოზული მიზეზი სარჩულათ არ უდევს; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი გაუგებრობის შედეგია. მით უფრო სასწრაფოთ მართებთ ჩვენს ახალგაზდა ამხანაგებს მოახდინონ ამ გაუგებრობის ლიკვიდაცია, გამოასწორონ მარცხი და მწყობრათ და ერთსულოვნათ ჩადგენ პარტიის რიგებში.

დახმარება გადასახლებულთათვის.

საქ. ს.-დემ. პარტიის საზღვარ-გარ. ბიურომ მიიღო პრაღის ამხანაგებში შეგროვილი ხუთას ათი (510) ჩეხ. კრონა პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოდ.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.